# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 19 მარტი 2007 №60 (2983)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუთოსნები და ნულოსნები

## მწარე სიმართლე ზესტაფონსა და ქუთაისში

## ტორპედოში დაშლაზეც ალაპარაკდნენ

ტურის ცენტრალურ მატჩს ზესტაფონში ველოდით, თუმც „ვიტ ჯორჯიამ“ ფაქტობრივად წინააღმდეგობა ვერ გაუწია თემურ მახარაძის „ზესტაფონს“ — ვიტელთაგან ასეთ დაჩაჩანაკებას ნაღდად ვერ ვიწინასწარმეტყველებდით.

იმერეთშივე და იგივ ანგარიშით, 5:0 მოიგო დუშან უჰრინის „დინამომ“ — ქუთაისის „ტორპედო“ ისეთ დღეშია, მატჩისწინა შეკრებაც არ ჰქონია და ფეხბურთელები სტადიონზე სახლებიდან მივიდნენ.

ლიდერი ისევ „ოლიმპია“. ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებში ქულათა ბალანსი მე-17 ტურს არ შეუცვლია — „ვიტ ჯორჯიას“ კი ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდად ველარ ჩავთვლით...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 17 | 13 | 3 | 1 | 42:6 | 42 |
| დინამო | 17 | 13 | 0 | 4 | 35:13 | 39 |
| ზესტაფონი | 17 | 11 | 5 | 1 | 32:6 | 38 |
| ამერი | 17 | 11 | 4 | 2 | 33:11 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 10 | 4 | 3 | 35:23 | 34 |
| სიონი | 17 | 9 | 2 | 6 | 22:15 | 29 |
| ტორპედო | 17 | 8 | 4 | 5 | 18:15 | 28 |
| ბათუმი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:16 | 19 |
| ბორჯომი | 17 | 4 | 5 | 8 | 16:27 | 17 |
| მერანი | 17 | 4 | 5 | 8 | 14:29 | 17 |
| ლოკომოტივი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:23 | 16 |
| ჩიხურა | 17 | 3 | 4 | 10 | 11:27 | 13 |
| დილა | 17 | 0 | 3 | 14 | 9:45 | 3 |
| კახეთი | 17 | 0 | 1 | 16 | 11:51 | 1 |



გურამ ცქვიტინიძის ფოტო

# ვის დაადებს ხელს ტოპმიოლერი?



გურამ ცქვიტინიძის ფოტო

ჯერ კიდევ პარასკევს გაირკვა, რომ 24 მარტს შოტლანდიასთან ევროშესარჩევ მატჩს საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე და კიდევ ერთი მცველი, ოთარ ხიზანეიშვილი ტრავმების გამო დააკლდებოდნენ. კლაუს ტოპმიოლერი დღეს დაასახელებს მათ შემცვლელებს, თუმც შესაძლოა, ორი მოსაკლისებულის ნაცვლად საშოტლანდიო შეკრებას მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დაამატოს — ტოპმიოლერმა აქამდე იმიტომ არ გააკეთა ეს, რომ უქმეებზე გამართულ ლეგიონერთა თამაშებს ელოდა.

# ეი, ეიფორია?

## ქართველებმა ვითომ ლომი ესპანელები მართლა ალომეს



თებერვალში რუმინეთთან სტუმრად მოგების შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რაგბის საერთაშორისო საბჭოს რეიტინგში მე-15 ადგილზე ალზევდა.

ცალკე უხერხულ მეტოქესთან გამარჯვებამ და ცალკე კლასიფიკაციაში მანამდე არნახულ სიმაღლეზე ასვლამ, როგორც ჩანს, ეიფორია გამოიწვია. ეტყობა, მორაგბეებმა ირწმუნეს, რომ უკვე ძალიან ძლიერები იყვნენ, იმდენად ძლიერები, რომ, ვთქვათ, ესპანეთს ექსპერიმენტული, ლამის მესამე შემადგენლობითაც მოუგებდნენ.

ვერ მოუგეს. ეგ კი არა, საქართველოს ნაკრები ძალიანაც შერცხვა — 17:31 დამარცხდა. რაგბის კავშირისა და უშუალოდ ნაკრების თავკაცობა როგორღაც მსუბუქად მოეკიდა ესპანელებთან მატჩს და... ნაკრებმა საერთათასო პერსპექტივაც გაიუარესა და მომავალ რეიტინგში ორი-სამი ადგილითაც დაბლა ჩაინაცვლებს.

# დიდის დაბრუნება

## ზინედინ ზიდანი: არაბული მილიონები თუ რეალის პრეზიდენტობა?



დიდი კაცი, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი, შესაძლოა, ფეხბურთს დაუბრუნდეს.

ეს ამბავი ალბათ ფეხბურთის უამრავ ქომაგს გაუთბობს გულს, მაგრამ იტალიური „კალჩომერკატოს“ მიერ გავრცელებულ ცნობას საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არა აქვს — ზიზუ ფიქრობს.

დიდი ფეხბურთიდან სკანდალურად, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარკო მატერაცის მკერდში თავის ძგერებით წასულ დიდ ფრანგს ყატარის ერთ-ერთი, ჯერაც გასაიდუმლოებული კლუბი ეპატიჟება და კოლოსალურ თანხას, 6 მილიონ ევროს სთავაზობს.

ზიზუ ახლა სწორედ ყატარშია, თუმც საბოლოო პასუხი ჯერ არ უთქვამს, რამეთუ ამის გარდა ისედაც უამრავი წინადადება მიიღო და მათ შორის ყველაზე საინტერესო მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის სავარძელია.

აბა, რა შეხსენება გინდათ, რომ ზიდანის ბოლო კლუბი სწორედ „რეალი“ იყო...


1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი“ აცხადებს ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან. ადგილები შეზღუდულია. ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე.
მისამართი: ლუბლიანას 18; ტელ: 54 00 77; 54 00 39

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა

II წრე. 17 ტური

# კონტრშეტევების სიო ზღვისპირეთიდან

ბოლნისი. 17 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 700 მაყურებელი

## სიონი 1:2 ბათუმი

| | |
|---|---|
| 0:1 შალამბერიძე (57), 1:1 დარასელია (80), 1:2 კვარაცხელია (82) | |
| სიონი: ბობღიაშვილი, ცქონია (ბ. ცხადაძე 60), ფრიდოლინი, ორბელაძე, რაქვიაშვილი, სილაგაძე, ბაბუნაშვილი, კორღალიძე (კვიტაიშვილი 73), ა. ალავიძე, ვ. დარასელია, ჩასემი; სათადარიგონი: მამალაძე, ოქრომირიძე, ვეოჩე, ლ. ბაჯელიძე, ვ. უგრეხელიძე; მწვრთნელი: კახა ცხადაძე | ბათუმი: სომხიშვილი, კუნჭულია (ა. ბაჯელიძე 89), გალოგრე, უ. ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, კ. შალამბერიძე, ნერგაძე, ცანავა, დარჩიძე (ფარტენაძე 21), ბეჟანიძე (დუმბაძე 76), ვ. კვარაცხელია; სათადარიგონი: ბექთაშევი, კერესელიძე, ტუღუში, ბაციკაძე; მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |
| გაფრთხილება: ნერგაძე (23), სომხიშვილი (68), კვარაცხელია (90) | |
| მსაჯები: ო. ხეცაძე; გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე; ვ. გუმბერიძე | |

**ილია ნანობაშვილი ბოლნისიდან**

**ზედიზედ** მეორე სეზონია, „ბათუმი" შინ აგებს „სიონთან", ბოლნისში კი ცოცხალი თავით არ მარცხდება. ეგებ, ზღვისპირელები სულაც არ იყვნენ ჩასულნი ქვემო ქართლში სამი ქულისთვის, მაგრამ მასპინძელთა მეკარე მინდია ბობღიაშვილის ძღვენი შეიშნოვეს და კბილებით გაიტანეს თავისი.

ამირან გოგიტიძემ წმინდა დაცვითი მოდელით ათამაშა გუნდი. დედა, ეს რა ენახეთო, სტუმრებს ამისთანა არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ ძალიან გამართულად, გუნდურად და სადად ითამაშეს — დაცვაში რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე და კონტრშეტევები.

ბათუმელთა ნახევარმცველები იმდენად უკან იყვნენ დაწეულნი, რომ მათი ერთადერთი ფორვარდი ვახტანგ კვარაცხელია სხვა გუნდის ფეხბურთელი გეგონებოდათ — იშვიათად, პირველ ტაიმში მის გარდა, რომელიმე სტუმარი ცენტრს იქით გადასულიყო.

„სიონმა" სადღაც მე-20 წუთიდან დაიწყო თამამი შეტევები, განსაკუთრებით კი შოთა ბაბუნაშვილი გამოირჩეოდა, რომლის ლამაზ პასს ლევან კორღალაძემ სუსტი დარტყმა მიაყოლა და სტუმართა მეკარე გოგიტა სომხიშვილს ალება არ გასჭირვებია.

37-ე წუთზე ბოლნისელი არჩილ ალავიძე დავით გალოგრემ წააქცია, მსაჯმა ოთარ ხეცაძემ კი ზედ საჯარიმოს ხაზზე ჯარიმა დანიშნა, რასაც ბოლნისელი ქომაგების შფოთი მოჰყვა — ნამატჩევს მასპინძელთა თავკაცმა კახა ცხადაძემ თქვა, ფირზე ვნახე და წესების დარღვევა ხაზს შიგნით იყოო. ამ საჯარიმოდან „სიონმა" კინაღამ გოლი გამოადნო, ჩასემმა ვერ დაამატა სომხიშვილის მიერ ცხვირწინ მოგერიებულ ბურთს. ტაიმის ბოლოს იმავ ჩასემმა დარასელიას პასის შემდეგ სომხიშვილი კი მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა.

შესვენების შემდეგ „ბათუმი" ცოტა გაუშინაურდა „სიონის" ნახევარს და პირველივე ხიფათი გოლად აქცია: ნაკუთხურალი ბურთი ბობღიაშვილმა ვერ შეიმაგრა, არეულობაში კი ყველაზე სხარტად კობა შალამბერიძე გაერკვა და სამიოდ მეტრიდან გაიტანა — 0:1.

სტუმრებმა კიდევ უფრო გაამაგრეს დაცვა, ჯაფა უფრო გალოგრესა და უჩა ლობჟანიძეს აწვებოდათ — თუ საჭირო იყო, ბათუმელები დროის გაყვანასაც არ თაკილობდნენ.

მოკლედ, „სიონი" ხიფათს ვერ ქმნიდა, მაგრამ ისევ ვიტალი დარასელიამ გაიბრწყინა — ბობღიაშვილმა კარიდან დაარტყა, ბურთმა ყველა ბათუმელს გადაუფრინა და ბოლნისელთა კაპიტანმაც ოდნავ მახვილი კუთხიდან დააყუმბარა შორეულ კუთხეში — 1:1.

მასპინძლები მოსაგებად დაირაზმნენ, თუმც ორ წუთში აქეთ გაუშვეს გოლი: შალამბერიძის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო (სიონელები დიდხანს ეკამათნენ მსაჯს, ჯარიმა არ იყოო) ხიფათს არ წარმოადგენდა, თუმც ბობღიაშვილმა იოლი ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, თან კამერუნელ ბოიომო ფრიდოლინსაც შეეჯახა და კვარაცხელიამ 15-16 მეტრიდან ცარიელ კარში შეაგდო — 1:2.

ბოლო წუთებზე ბაჩანა ცხადაძის თავურის შემდეგ ზღვისპირელებმა ძლივს გამოიტანეს ბურთი კარის ხაზიდან — ეს ერთი მომენტი იყო, თორემ „ბათუმს" მეტოქისთვის შტურმის საშუალება არ მიუცია.




ვაჟიკო ჯორჯაძის ფოტო

კობა შალამბერიძე ბათუმელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო

### პრესკონფერენცია

*ამირან გოგიტიძე:* საერთოდ, ბოლნისში თამაში რთულია და ნაწილობრივ გაგვიმართლა კიდეც, რომ მოვიგეთ. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, „სიონს" რამდენიმე მომენტი ჰქონდა და გადავრჩით. შესვენების შემდეგ კი უკეთ გამოვიყურებოდით.

*კახა ცხადაძე:* დასანანი მარცხია, მაგრამ აუგსაც ვერ ვიტყვი ბიჭებზე. მარტო ბობღიაშვილზე ჯოხის გადატეხვა არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, უხეში შეცდომა დაუშვა. მიუხედავად წაგებისა, ჩემპიონატში ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ.

## ქართველები უცხოეთში

# იაშვილი გოლი-პასის შვილია

*როგორ ფორმაში არიან ქართველი ლეგიონერები შოტლანდიასთან მატჩის წინ? საქართველოს ნაკრები უკვე ისე დაითარსა ტრავმებით, რომ იმას ვშიშობდით, ემანდ კახა კალაძისა და ოთარ ხიზანეიშვილის შემდეგ კიდევ ვინმე არ დაშავებულიყო.*

ინგლისური „ბლექბერნის" თავკაცმა მარკ ჰიუზმა როგორც იქნა ძირითადში დააყენა **ზურაბ ხიზანიშვილი**, რომელმაც სრულად ითამაშა „ვესტ ჰემთან" 1:2 შინ წაგებულ მატჩში, ონლაინ-რეპორტაჟში კი ზურაბი მხოლოდ ერთხელაა ნახსენები — სტუმართა არგენტინელ ვარსკვლავ კარლოს ტევესს თავგანწირული ვარდნით საგოლე შანსი მოუსპო.

**ლევან კობიაშვილმა** 71 წუთი ითამაშა შინ „შტუტგარტთან", მისმა „შალკემ" კი მლადენ კრსტაიჩის გვიანი გოლით გატეხა გერმანიის ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატი.

კობიმ გაფრთხილებაც მიიღო, სხვა მხრივ კი ჩვენიანს თავისი საუკეთესო მატჩი არ ჩაუტარებია. „შალკემ" ლიდერობა შეინარჩუნა და ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი მომავალ ტურში ელის მიუნხენში „ბაიერნთან".

მეორე ბუნდესლიგაში ტრავმირებული **მათე ღვინიანიძის** გარეშე მოთამაშე „მიუნხენ 1860"-მა სამარცხვინო 0:3 იწვნია „აუგსბურგთან".



„კარლ ცაისმა" ქულა წამოიღო კობლენციდან, **გიორგი ლომაიამ**, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა, რამდენიმე ბურთი მოიგერია, თუმც მისი თამაში მხოლოდ ოთხი ბალით შეაფასეს. **მიხეილ აშვეთია** კი 58-ე წუთზე შეცვალეს. იენელები ისევ გასავარდნ მიდამოებში ბუდობენ.

სამაგიეროდ, ელიტაში ალზევების კარგი შანსები გაიჩინეს **დავით სირაძის** აუე-მ და **ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** „ფრაიბურგმა". ორივე გუნდი სანუკვარ მესამე ადგილს უკვე ქულით ჩამორჩება.

აუე-მ „ოფენბახს" მოუგო 2:1, სირაძემ სასტარტოში დაიწყო, მაგრამ 62-ე წუთზე შეცვალეს და მისმა გუნდმა გოლებიც ამის მერე შეაგდო.

კონკურენტ „კაიზერსლაუტერნთან" მატჩში გაილაღა ალექსანდრე იაშვილმა, „ფრაი" თავიდან აგებდა, მაგრამ იაშიმ ჯერ თავად გაიტანა, შემდეგ როდა ანტარს გაატანინა, ბოლოს კი დუბლიც გააზერხა და ამის შემდეგ შეცვალეს. „ფრაიბურგმა" 4:1 მოიგო.

**შოთა არველაძის** „ალკმაარმა" ჰოლანდიის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაკარგა. ლუის ვან გაალმა „ჰერაკლესთან" სტუმრად მატჩში ჩვენებურის დასვენება გადაწყვიტა და იქნებ მწარედაც ინანა. ალკმაარელებმა უგოლო ფრე ითამაშეს, შოთა მოედანზე 57-ე წუთზე შევიდა, მაგრამ გუნდის შველა ვეღარ შეძლო.

**ალეკო ამისულაშვილისა** და **ლევან გვაზავას** ნალჩიკის „სპარტაკმა" **დავით მუჯირის** „კრილია" ისტუმრა და 0:0 გაეყარა. ნალჩიკელთაგან ორივე ქართველმა სრულად ითამაშა, მუჯირი კი 74-ე წუთზე შეცვალეს. ამისულაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მასპინძელთაგან, მუჯირზე კი ხშირად უხეშობდნენ...

ყაზანის „რუბინმა" მოსკოვში 1:2 დათმო „ლოკომოტივთან". ყაზანელთაგან 90 წუთი იბურთავა **ლაშა სალუქვაძემ**, **ნუკრი რევიშვილი** კი სათადარიგოებში იჯდა. რკინიგზელებს ორ ტურში ოთხი ქულა მოუგროვდათ, „რუბინი" კი უქულოა და ბოლო ადგილზეა.

დისკვალიფიცირებულ **გოგიტა გოგუას** გარეშე „სატურნმა" საშინაო მატჩი წააგო „ლუჩთან" — 0:1.

უკრაინაში ლიდერმა კიევის „დინამომ" შინ 4:0 დაჩაგრა ლუგანსკის „ზარია". კიეველთა თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ ბოლო 9 წუთი ათამაშა **კახა კალაძეიშვილი** და მეოთხე გოლიც სწორედ ჩვენიანის მიერ დაწყებულ შეტევას მოჰყვა. ლუგანსკელთა ფორვარდმა **გიორგი ჭელიძემ** კი შეუცვლელად ითამაშა, თუმც მასპინძელთა დაცვაში ღრიჭოები ვერ მოძებნა.

**ჯაბა კანკავასა** და **რევაზ ბარაბაძის** „დნეპრომ" 2:0 სძლია „ტავრიას". ქართველებს არ უთამაშიათ — კანკავა დისკვალიფიცირებულია.

რაც ქართველებმა ტურის პირველ დღეს ვერ მოახერხეს, მეორეში შეძლეს. **დავით კვირკველიას** და **ირაკლი მოდებაძის** ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" შინ 2:1 მოუგო **ლაშა ჯაკობიას** „არსენალს". კვირკველიამ სრულად ითამაშა და გოლი და საგოლე პასი მიითვალა, მოდებაძე ტრავმის შემდეგ პირველად გამოჩნდა და ბოლო რვა წუთში ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო, ჯაკობია კი 55-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

„ჩერნომორეც" — „კრივბასის" ჯახში სამივე ქართველმა არასრულად ითამაშა. **ლადო ბურდული** მწვრთნელმა მე-14 წუთზე იმიტომ შეცვალა, რომ კრივოიროგელები კაცნაკლული დარჩნენ, თუმც ამ მატჩის მოგება მაინც შეძლეს — 3:2. ოდესელი **ილია კანდელაკი** 57-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო **ვასილ გიგიაძე** 66-ეზე. გიგიაძემ გოლის გატანა მაინც მოასწრო და ბომბარდირთა დავას ისევ ლიდერობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 17 ტური

# რევანში მარტო ფიფია ეყო




ზესტაფონი. 17 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 4 000 მაყურებელი

## ზესტაფონი 5:0 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 1:0 ონიანი (13), 2:0, 3:0 ფიფია (19პ, 28), 4:0 ბენაშვილი (60), 5:0 ფიფია (74) | |
| **ზესტაფონი:** გ. ჭანტურია, ე. საჯაია, შ. ლობჟანიძე, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი, ხ. თოდუა, ტორესი (გ. ნოზაძე 44), ვიეირა, ნ. კვასხვაძე (იონანიძე 66), ფიფია, გ. ჩხეტიანი (ბენაშვილი 46) სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, გ. ხიდეშელი, დოლონაძე, სანაია **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ლ. ჯაფარიძე, ლ. რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (კვალიაძე 84), გ. მელქაძე (ბექაია 79), ზ. სახოკია, გელაშვილი (ბერიაშვილი 76), კლიმიაშვილი სათადარიგონი: მიქაბერიძე, კობიაშვილი, ინჯგია, კიკნაძე **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე |
| **გაფრთხილება:** ნ. კვასხვაძე (4), გ. დათუნაიშვილი (32), კ. ჩხეტიანი (42), კლიმიაშვილი (63) | |
| **გაძევება:** სახოკია (30) | |
| **მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; ზ. მენთეშაშვილი, ზვ. ერქვანია; ვ. ელიზბედაშვილი | |

**გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან**

**წესით,** ტურის ცენტრალური დაპირისპირება ძალიან საინტერესო უნდა გამომდგარიყო — სატურნირო სიტუაციითაც და იმითაც, რომ "ზესტაფონს" სეზონის ჯერჯერობით ერთადერთი მარცხისთვის რევანში სწყუროდა. ვინ იფიქრებდა, პირველი წრის 0:3-ს ფეროელები გადაჭარბებით და გასეირნებით რომ გააბათილებდნენ. ვიტელებმა, ფაქტობრივად პირველი წუთებიდანვე ყველა კომპონენტში დათმეს შეხვედრა და შედეგიც საკადრისი მოიმკეს.

მარტისთვის ჩვეულმა შეპრეკილმა ამინდმა თავისი დაღი დაასვა „ცენტრალურის" მართლაც კარგ საფარს, მაგრამ მინდორმა გამოცდას გაუძლო და მასზე საწუწუნო არც ერთ გუნდს არ უნდა ჰქონოდა.

მატჩი მკვირცხლი ბრძოლით დაიწყო და მეორე წუთზევე სტუმარმა გიორგი მელქაძემ საჯარიმოს გარედან შეაწუხა გრიგოლ ჭანტურია. პასუხმაც არ დააყოვნა და ნიკა კვასხვაძეს მიეცა შანსი, თუმც ზედმეტი აქტიურობა გამოუვიდა და მეკარესთან უხეში თამაშის გამო გაფრთხილებასღა გამორჩა. ერთ წუთში მანვე გაგა ჩხეტიანის პასი საჯარიმოში გადაამისამართა, იქ ვიეირას მართებდა გატანა, მაგრამ სიზუსტემ ოდნავ დაალალატა.

იშვიათი მონდომებითა და ჟინით მოთამაშე ფეროელებმა გოლი მაინც სწრაფი გაიტანეს. მე-13 წუთი იდგა, ჟონატას ტორესმა კარგად რომ შეაყოლა ბურთი კვასხვაძეს, ნიკამ დაბალი პასით საპენალტოს მიდამოებში როინ ონიანი მოძებნა, რომელმაც პირველი დარტყმა ჩაწოლილ მცველს კი გაარტყა, მაგრამ იქიდან ასხლეტილ ბურთს კარში მიუჩინა ადგილი.

თემურ მახარაძის შეგირდებმა ზეწოლას უმატეს და 5 წუთში ისევ ონიანის მცდელობით გაგა ჩხეტიანი ცდილობდა გატანას, თუმც უშედეგოდ. სამაგიეროდ, მორიგ იერიშს პენალტი მოჰყვა. ვიეირასთან ჭიდილში მსაჯმა პავლე დათუნაიშვილი დაადანაშაულა და გოგი ფიფიამ თერთმეტი მეტრის ნიშნულიდან უნაკლოდ დაარტყა.

ფიფია ჩემპიონატის მთავარმეგოლეობას უმიზნებს და აქამდე პირველს, ვიტელ ნიკა გელაშვილს თავისი მეორე გოლით გადაუსწრო, რომელიც 28-ე წუთზე ალეკო კვახაძის შეცდომას მოჰყვა. თითქოს არცთუ მწვავე შორეულ გადაცემას კვახაძე ვერ შესწვდა ჯეროვნად, თავით ბურთს მიმართულება შეუცვალა, მაგრამ ფიფიას გადაუგდო და მან მახვილი კუთხიდან წინ გამოსულ ბედიაშვილს გაუტანა.

ამ გოლმა „ვიტ ჯორჯია" საბოლოოდ გატეხა. არადა, მანამდე გიორგი დათუნაიშვილმა და ლუკა რაზმაძემ თითქოს სცადეს გუნდის ათამაშება, ერთ ხანს თამაშიც დაალაგეს, მაგრამ მესამე გოლმა მათი მცდელობა არარაობად აქცია. სტუმართ თავისი გასაჭირი ჰყოფნიდათ და ზაზა სახოკიამ მთლად მოუღო ბოლო. მან გიორგი ვადაჭკორიას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და გაძევებამაც არ დააყოვნა. ჰოდა, თავად განსაჯეთ, რა ინტრიგა შემორჩებოდა დარჩენილ ერთ საათს. მხოლოდ ის, თუ რა ანგარიშით მოიგებდა იმერული კლუბი.

შესვენებამდე საგულისხმო სხვა არაფერი ყოფილა. მეორე ტაიმში კი მასპინძლებმა ახალი ძალებით შეუტიეს და მალევე გაზარდეს სხვაობა. ფიფიამ ამჯერად ასისტენტობა იკისრა, კახა ჩხეტიანის ფლანგურ ჩაწოდებულს ეფექტური გაგრძელება მოუძებნა და ახალგამოსულ ალექსი ბენაშვილს ბურთი ისე დაულევა, არგატანა შეუძლებელიც კი იყო.

ფიფიამ საჰეთთრიკოდ მაინც მოიცალა და 74-ე წუთზე საჯარიმოში ციბრუტივით იტრიალა, მცველმეკარე ფინტებით გააბითურა და მშვიდად შეაგორა ბურთი შორეულ კუთხეში.

მასპინძლებს კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ მეტოქის დამწუხრება. ყველა იერიში ფლანგებიდან იწყებოდა, სადაც მარცხნივ კახა ჩხეტიანმა აიკლო ყველაფერი, მარჯვნივ კი, სანამ შეცვლიდნენ — ნიკა კვასხვაძემ.

ნამატჩევს დანა პირს არ უხსნიდა ვიტელთა დამრიგებელ ნესტორ მუმლაძეს, რომელმაც ვერ ახსნა საკუთარი გუნდის ასეთი უსუსური გარჯა. სამაგიეროდ, ენაწყლიანი და კმაყოფილი იყო თემურ მახარაძე. მან შეგირდები შეაქო და, გუნდი თანდათან ოპტიმალურ ფორმას უახლოვდებაო, დასძინა.



ერთ-ერთი შეტევა „ვიტ ჯორჯიას" კართან



ნიკა გელაშვილი (№9), ვინც სევასტი თოდუასთან ვერაფერს გახდა, ამ ტურამდე ჩემპიონატის მთავარმეგოლე იყო

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 17 ტური

# ქუდბედიანი ჩიმაკაძე



ბესიკ ჩიმაკაძე (№9) გადამწყვეტ გოლებს დაეჩვია



## ქარმა თამაში აღეჟა, დილამ ამერის ნერვი

თბილისი. 17 მარტი. 15 საათი. ამერი. 600 მაყურებელი

## ამერი 2:1 დილა

| | |
|---|---|
| 0:1 გონჩაროვი (32), 1:1 ჩიმაკაძე (75), 2:1 დავითაშვილი (80) | |
| ამერი: ქვაჩახია, გვაძაბია, დავითნიძე, დ. მჭედლიშვილი, გაბისკირია (სევასტოპულო 67), ტატანაშვილი, კაკაშვილი (ელბაქიძე 85), ხვადაგიანი (ჩიმაკაძე 64), ჩიკვილაძე, ს. დავითაშვილი, დოლიძე<br>სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; ფირანიშვილი, ნიკოლაიშვილი, სილაგავა<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | დილა: თევდორაძე, ბალაშვილი, ლომაშვილი, ყველაშვილი, ბალიაშვილი, ვარდოსანიძე, კ. ხანიშვილი, სადალაშვილი, ბ. ჩიტაია, გონჩაროვი (სულთანიშვილი 65), სამადაშვილი (ტლაშაძე 57)<br>სათადარიგონი: კუხუაშვილი; აბრამიშვილი, თაყაძე, კურტანიძე, გ. წინამძღვრიშვილი<br>მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე |
| გაფრთხილება: მჭედლიშვილი (47), გაბისკირია (53), თევდორაძე (77) | |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. ჯვარიძე, ს. სპიცინი; ა. ნონიკაშვილი | |

დავით თავართქილაძე

**გორის** „დილა" ძალიან ახლოს იყო სუპერ სამ ქულასთან, მაგრამ ბესიკ ჩიმაკაძის მაკრატელამ თამაში შემობრუნა — „ამერმა", ასე ვთქვათ, კბილებით გამოაძრო გამარჯვება.

გლდანელებს ტრავმიანობისა და დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ — რატი წინამძღვრიშვილი, გიზო ჯელაძე, დავით ბოლქვაძე, დენის დობროვოლსკი... გიორგი ჩიხრაძის გუნდისთის ეს მნიშვნელოვანი დანაკლისი აღმოჩნდა — ამერელებს ძალიან გაუჭირდათ „დილას" დამარცხება.

ქარში კომბინაციური თამაში იოლი არ იყო, ჰაერში აჭრილი ბურთი ხშირად თავგზას უბნევდა ფეხბურთელებს. თუმც ვერ ვიტყვით, რომ ეს ხელს რომელიმე გუნდს აძლევდა — თუ „ამერი" ბურთს კარგად ვერ გააგორებდა, უკეთესი ფიზიკური კონდიციებით უნდა დაეჯაბნა მეტოქე — ამერელები ხომ გორელებზე ბევრად უფრო ნაყოფიერად ემზადებიან სეზონის წინ თუ საშუასეზონო შეკრებაზე.

„ამერმა" პირველ ტაიმშიც მეტოქეზე უფრო მეტი საზიფათო მომენტი შექმნა. სულიკო დავითაშვილმა კარგად გაუჭრა პასი დავით მჭედლიშვილს, ვინც „დილას" მეკარე რევაზ თევდორაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ვერ აჯობა.

„დილა" ყრუ დაცვაში არ იჯდა, შეძლებისდაგვარად უტევდა, წინ დიდი ძალებით არ მიდიოდა და უფრო მეტოქის შეცდომას ჩასაფრებოდა.

ამასობაში „ამერი" კიდევ ორჯერ დაემუქრა შიდაქართლელებს — იური გაბისკირიას ჩინებული პასით გრიგოლ დოლიძე გავიდე დასარტყმელ პოზიციაზე, თევდორაძემ ბურთი მოიგერია, დამატებაზე კი ვერავინ იყოჩაღა.

ტაიმის დასრულებას თხუთმეტი წუთი აკლდა, გაბისკირიამ კიდევ ერთი კარგი გადაცემა რომ შეასრულა, დავითაშვილმა ახლოდან და მახვილი კუთხიდან „დილას" კარის შორეულ ძელს სანტიმეტრებით ააცილა ბურთი.

და გორელთა გოლიც — „ამერის" საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ზურაბ ქვაჩახიას ნადავლი უნდა გამხდარიყო, მაგრამ ერთ-ერთმა ამერელმა მცველმა ბურთი არ გაატარა, თავით მოიგერია და ბორის გონჩაროვმაც ოციოდ მეტრიდან მეკარისგან მიტოვებულ კარს ზუსტად დაუმიზნა.

შესვენებამდე „ამერმა" ისლა მოახერხა, რომ გაბისკირიამ შორეული ჯარიმა დაარტყა — თევდორაძემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, „ამერმა" ჯიქურ კი შეუტია, მაგრამ მასპინძლები ძალიან დაძაბულნი იყვნენ და ბევრი ტექნიკური წუნი ჰქონდათ — ნახევარი საათი ამერელთა გარჯა ამაო იყო.

მასპინძლებს მწყობრი იერიშები არა და არ გამოსდიოდათ. ჩიხრაძემ შეცვლებს მიმართა — დავითაშვილს და დიმიტრი ტატანაშვილს კიდევ ორი შემტევი შეაშველა — ჩიმაკაძე და დავით სევასტოპულო.

...თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში „ამერმა" „დინამოს" 2:1 რომ მოუგო, გამარჯვების გოლი შეცვლაზე შესულმა ჩიმაკაძემ გაიტანა — დინამოელთა მეკარე გიორგი ლორიას შეცდომას გოლი მოჰყვა. ჩიმაკაძე ამჯერადაც ქუდბედიანი გამოდგა, მაგრამ ეს გოლი ალალი და ეფექტური იყო — დოლიძემ მარჯვნიდან ჩააწოდა, სევასტოპულომ ბურთი ოსტატურად გაატარა და აკრობატულად გაწვართულმა ჩიმაკაძემ თევდორაძისთვის აუღებელი დაარტყა.

ამან, ცოტა არ იყოს, ფსიქოლოგიურად გატეხა „დილა", თანაც გორელებს დაღლაც დაეტყოთ, სიხისტე და აგრესიულობა მოაკლდათ. „ამერს" კი ემოციური მუხტი მოემატა და გამარჯვების გოლიც ჩინებული გამოდგა — დავითაშვილმა ორ მცველს დაასხა რეტი და საყვარელი ცაციათი შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი.

## პრესკონფერენცია



ვარდოსანიძე მსაჯობით იყო უკმაყოფილო, ჩიხრაძე კი თავისი გუნდით

*მამუკა ვარდოსანიძე:* უხეში თამაში იყო, მსაჯობით უკმაყოფილო ვარ, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს.

*გიორგი ჩიხრაძე:* უხეში კი არა, ხისტი თამაში იყო. რამდენიმე წამყვანი ფეხბურელი გვაკლდა, მაგრამ ამით თავს არ ვიმართლებ. რაღაც-რაღაცეებში გუნდის ძალიან უკმაყოფილო ვარ.

თბილისი. 17 მარტი. 15 საათი. შევარდენი. 200 მაყურებელი

## მერანი 0:0 ბორჯომი

| | |
|---|---|
| მერანი: სეფიაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი, კობერიძე, ბეჟარაშვილი, ფურცელაძე, ნ. ნოზაძე (ნაკანი 80), ჯანგიძე (ჩივაძე 74), ოქრუაშვილი, დეისაძე (მოდებაძე 46), ქემაშვილი<br>სათადარიგო: გლუნჩაძე, ჩაჩიბაია, კეტაშვილი, ნეფარიძე<br>მწვრთნელი: სერგო კუტივაძე | ბორჯომი: კოდალაევი, ქარქუზაშვილი, ლ. მურუაშვილი, ლონლაძე, დ. ნადირაშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაკალაძე (შუღლაძე 72), ა. კაიდარაშვილი (რ. კვერნაძე 88), ავალიანი, შ. გრიგალაშვილი<br>სათადარიგო: თედიაშვილი, საყვარელიძე, ლაზარაშვილი, ლომიძე<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |
| გაფრთხილება: ლონლაძე (35), კოშკაძე (50), ბეჟარაშვილი (51), ჯიქია (52), ფურცელაძე (57), კოდალაევი (72), მოდებაძე (81) | |
| გაძევება: კოდალაევი (72) | |
| მსაჯები: დ. სანაია; მ. ელიკაშვილი, ი. ურუშაძე; ა. ქაჩუა | |

# მერანს დარტყმა დაავიწყდა

ოთარ აზესაძე

**საქართველოს** ჩემპიონატში უნიათო და უსახური შეხვედრა რომ გაგიკვირდება, სწორედ ასეთი იყო ეს მატჩი.

გუნდები ისე ირჯებოდნენ, გეგონებოდათ, პირველად თამაშობენ ფეხბურთსო.

90 წუთში მასპინძლებს კარის მიმართულებით ერთხელაც არ დაურტყამთ, კურორტელებმა კი პირველად 61-ე წუთზე შეძლეს ამის გაკეთება. ეს „საძნელო" საქმე ალეკო კაიდარაშვილმა იტვირთა, თუმცა უხეიროდ. ოცწუთიანი პაუზის შემდეგ ბორჯომელმა ალექსანდრე კოშკაძემ ორჯერ გადაახტუნა კოტე სეფიაშვილი. მატჩის საუკეთესო მომენტად ალბათ ბოლო წუთზე შოთა ჯიქიას მეკარესთან პირისპირ შეყრა უნდა ჩავთვალოთ, სადაც ისევ მეკარემ იყოჩაღა.

უბურთოდ კი, იცოცხლეთ, გუნდები ფხიზლად იყვნენ, მსაჯთან და ერთმანეთში დავა-კამათი არ დაზარებიათ, არბიტრ დავით სანაიას თითქმის ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ, განსაკუთრებით ბორჯომელები და აკი ჩამორიგდა ყვითელი ბარათები კანფეტებივით. 72-ე წუთზე წითელი ბარათიც აღიმართა. ბესიკ კოდალაევს გიორგი მოდებაძე შეეჯახა, რასაც შელაპარაკება მოჰყვა, ბორჯომელ მეკარეს არბიტრმა ყვითელი უჩვენა, მან კი სანაიას ტაში დაუკრა და ავტომატურად წითელიც აენთო.

„მერანმა" და „ბორჯომმა" ქულები გაინაწილეს და ისევ თანაბარქულიანები არიან.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 17 ტური




მალხაზ ახვლედიანის ფოტო

ქვილითაიას ხუთიდან ერთი კობახიძემ გაუტანა

ქუთაისი. 17 მარტი. 15 საათი. ტორპედო. 2000 მაყურებელი

## ტორპედო 0:5 დინამო

| | |
|---|---|
| 0:1 იაშვილი (50), 0:2 კობახიძე (54), 0:3 მერებაშვილი (59), 0:4 იაშვილი (79), 0:5 ხმალაძე (81) | |
| *იმედაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)* | |
| ტორპედო: ქვილითაია, ბარაბაძე, ბურული, ლალაძე, ზივზივაძე, ჭედია (კირკიტაძე 69), მ. ლონლაძე (ა. კვერნაძე 69), კვიტენაძე (დანელია 55), ნ. ნადირაძე, ზ. ჩხეტიანი, იმედაძე<br>*სათადარიგონი:* ხურცილავა, ქუთათელაძე, გორგოძე, ოდიშარია<br>მწვრთნელი: იური კვერნაძე | დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია (ლ. ნოზაძე 80), კრშკო, გ. კაშია, შაშიაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე, ფეიქრიშვილი, მერებაშვილი (ხუციშვილი 60), კობახიძე (ოდიკაძე 68), ს. იაშვილი<br>*სათადარიგონი:* ლორია; თომაშვილი, ზელიჩი, ზ. ჯანაშია.<br>მწვრთნელი: დუშან უჰრინი |
| გაფრთხილება: ჭედია (52) | |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; მ. ურუშაძე, კ. გუდურაშვილი; ხ. გაგნიძე | |

**ზაზა ცინცაძე ქუთაისიდან**

**„ტორპედოს“** ახლა ისე უჭირს, ფეხბურთელები სტადიონზე პირდაპირ სახლებიდან მივიდნენ.

ტორპედოელებმა „დინამოს“ მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძლეს, თუმცა შეიძლებოდა, პირველი ნახევარი მასპინძლებს მოეგოთ კიდეც, მამუკა ლონლაძის პასის მერე გია იმედაძეს ცარიელი კარისთვის რომ არ აეცილებინა.

მანამდე გოლის გატანა დინამოელებს შეეძლოთ — სანდრო კობახიძის ნაკუთხურალზე გიორგი შაშიაშვილმა ბურთი ხარიხას გაარტყა. მე-18 წუთზე კი სანდრო იაშვილმა მარჯვენა ფრთიდან კარგად გადააწოდა გიორგი მერებაშვილს, რომლის დარტყმული მაქსიმე ქვილითაიამ მოიგერია.

დაიწყო მეორე ტაიმი და „დინამომ“ იხეირა: ტორპედოელთა რბევას სათავე იაშვილმა დაუდო, რომელმაც საჯარიმოს ხაზიდან ჯარიმა გაიტანა.

54-ე წუთზე გიორგი ფეიქრიშვილმა კობახიძე მეკრესთან პირისპირ გაიყვანა და 0:2. ზუსტად ხუთ წუთში მერებაშვილმა შორეული დარტყმით მესამედ აიღო ტორპედოელთა კარი.

79-ე წუთზე დავით ოდიკაძემ საჯარიმოში იაშვილი მონახა, რომელმაც მეოთხედ დაამწუხრა ტორპედოელები.

ორ წუთში დინამოელებმა წერტილი დაუსვეს „ტორპედოს“ განადგურებას — ოდიკაძის ჩაწოდებული კუთხურით ლევან ხმალაძემ გაიტანა.

თამაშის მიწურულს „ტორპედოს“ გატანის შანსი მიეცა — ლონლაძე „დინამოს“ საჯარიმოში წააქციეს, მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც იმედაძემ ძალიან ცუდად შეასრულა და სოსო გრიშიკაშვილსაც არ გასჭირვებია ბურთის დაუფლება.

### პრესკონფერენცია

*დუშან უჰრინი:* ღლევანდელ თამაშს ყურადღებით მოვეკიდეთ. პირველ ტაიმში კი გაგვიჭირდა, მაგრამ პირველი გოლის შემდეგ დინამოელებმა საკუთარი ძალა ირწმუნეს და მეტოქე გატეხეს.

*იური კვერნაძე:* მინდა მივულოცო „დინამოს“ ეს გამარჯვება, ვფიქრობ, უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანამ გაამართლა. რაც შეეხება „ტორპედოს“, უმძიმეს მდგომარეობაში ვართ და თუ პატრონი არ გამოგვიჩნდა, გუნდი ალბათ დაიშლება.

# ალაგ-ალაგ ფეხბურთი ალაგ-ალაგ ბალახზე
## ბაყაყი, რომელიც არ ყიყინებს

თბილისი. 17 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 700 მაყურებელი

## ლოკომოტივი 0:1 ოლიმპი

| | |
|---|---|
| 0:1 გუნაძე (58პ) | |
| ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, ებრალიძე, დ. ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, მ. ძლენტი (ბუდაღაშვილი 86), ვ. გოჩაშვილი, გულორდავა (ბარბაქაძე 74), ი. სამხარაძე, ყენია (ჩომახიძე 63)<br>*სათადარიგონი:* მიგრიელიშვილი; კუპრეიშვილი, სოხელია<br>მწვრთნელი: ამირან მინაშვილი | ოლიმპი: მერლანი, გუნაძე (ჩხარტიშვილი 75), გ. კახელიშვილი (სეთურიძე 58), ნავალოვსკი, გ. ონიანი, მახვილაძე, დვალიშვილი, აფციაური (ჭიჭველიშვილი 46), ძამსაშვილი, რ. გოცირიძე, ქებაძე<br>*სათადარიგონი:* მ. ალავიძე; ბერუაშვილი, ხუბუა<br>მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი |
| გაფრთხილება: გულორდავა (28), სამხარაძე (39), გუნაძე (73), ებრალიძე (79), დვალიშვილი (89) | |
| მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ლ. მიქელაძე, ი. კაკაბაძე; გ. კიკაჩეიშვილი | |

**ვაჟა ხუციშვილი**

**ისეთი** თამაში გამოვიდა, ხანდახან მოედნისკენაც გაეპარებოდა კაცს თვალი.

პაატა დოგრაშვილმა თვითონ დაინახა, როგორ წააქციეს რევაზ გეწაძე და პენალტი დანიშნა. ამაოდ უმტკიცებდნენ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები, შეჯახება შიგნით არ ყოფილა, გარეთ იყოო. თერთმეტი მეტრიდან გიორგი ონიანმა ცენტრში დაარტყა, იქ კი მეკარე აღარ იდგა, რადგან გადახტა და 0:1.

ჩემპიონატის ლიდერმა სამი ქულა მიითვალა მოედანზე, რომელზეც ბალახი კუნძულებივითაა მიმოფანტული, ბურთი კი ყოველ გაგორებაზე ბაყაყივით დახტის.

აი, ასეთ მოედანზე ლევან ყენიამ მაინც შეძლო ფინტების და ქუსლით კოხტა პასების კეთება. ეს რომ არა, მეორე ტაიმამდე ყველაზე საინტერესო იმიტატორ ოთარ მამასახლისის შოუ გამოვიდოდა.

„ოლიმპი“ განსაკუთრებით მარცხენა ფლანგიდან უტევდა, სადაც გიორგი ნავალოვსკის გეწაძე ეხმარებოდა და არაერთხელ ჩააწოდეს ბურთი საჯარიმოში, მაგრამ „ლოკომოტივის“ მცველებს ვერ აცილეს. ნავალოვსკიმ 21-ე წუთზე მახვილი კუთხიდან დაარტყა, ბურთი მეკარემ მოიგერია, ძელს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა. როგორ არ უტრიალეს ოლიმპელებმა საჯარიმოში შეყუჟულ „ლოკომოტივს“, თუმც დასამახსოვრებელი ვერაფერი შექმნეს.

აი, ყენიამ კი მცირერიცხოვან გულშემატკივარს 44-ე წუთზე სანახავი ანახა. საჯარიმოს ხაზთან მისული ოთხ მცველში ფინტებით გაძვრა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და მეკარემ იოლად მოიგერია. ეს „ლომოტივის“ ერთადერი გაელვება იყო შესვენებამდე.

მეორე ტაიმში ყენია დაშავდა და შეცვალეს, მაგრამ იქამდე ერთხელ კიდევ მოასწრო თავის გამოჩენა: მარცხენა ფლანგზე ბურთი გაიგდო, მცველს გაასწრო, ბურთს დაეწია, საჯარიმოში შესულმა დაარტყა, მაგრამ ააცილა.

„ოლიმპი“ კონტრშეტევებზე გადავიდა და არაერთხელ შეეძლო უპირატესობის გაზრდა. ყველაზე რეალური მომენტი ვლადიმერ დვალიშვილს ჰქონდა, თუმც სეზონში მეცხრე გოლის გატანა ვერ მოახერხა.

# კვლავ იმედგაცრუება
## კახეთი ჩიხურასაც შემოემარცხა

თელავი. 17 მარტი. 15 საათი. გივი ჩოხელი. 400 მაყურებელი

## კახეთი 0:1 ჩიხურა

| | |
|---|---|
| 0:1 დვალი (81პ) | |
| კახეთი: გ. იაშვილი, მ. ხიდეშელი, კობაიძე, კვირკველია (ბიძინაშვილი 46), გერგიშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი (ძამუკაშვილი 83), ნ. დავითაშვილი, ბ. ბურნაძე (მედოევი 63), ტეტიაშვილი, გ. ხიდეშელი<br>*სათადარიგონი:* ქუფარაშვილი, მაჩაიძე, აბდულაევი, ა. ბურნაძე<br>მწვრთნელი: ვასილ არუდაშვილი | ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე (ვ. ზაბახიძე 66), ქემოკლიძე, გიგაური, ლ. ვაშაკიძე (გვეტაძე 30), ი. ზაბახიძე, ბუცხრიკიძე, ქუცურუა, თავბერიძე (სტეფანიშვილი 35), გ. მიქაძე, ჯ. დვალი<br>*სათადარიგონი:* დოლაძე, მ. მიქაძე<br>მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი |
| გაფრთხილება: გერგიშვილი (80), მიქაძე (84) | |
| მსაჯები: მ. მაისურაძე; ა. გუნთაძე, ო. მოლოდინაშვილი; ზვ. ახკაროლლი | |

**გიორგი კაციტაძე თელავიდან**

**ახლოს** იყო თელავის „კახეთი“ სამის თუ არა, ერთი ქულის შემატებასთან, მაგრამ შაბათს იღბალი საჩხერელთა მხარეს იყო. როგორც ყოველთვის, თელაველები აქტიურად ქომაგობდნენ თავისიანებს — იყო ყვირილი, სიმღერა, სტვენა და... ბოლოს ისევ იმედგაცრუება.

პირველ ტაიმში უპირატესობა „ჩიხურასი“ იყო. მე-5 წუთზე ჯაბა დვალის დარტყმული მასპინძელმა მეკარემ გიგა იაშვილმა მოიგერია. საჩხერელებმა კიდევ რამდენჯერმე გაამწვავეს სიტუაცია კახელთა კართან, მაგრამ ხან მეკარე ყოჩაღობდა, ხანაც სტუმრები ვერ იყვნენ ზუსტნი. 19-ე წუთზე ისევ დვალს შეეძლო გატანა, მაგრამ ისევ ააცილა. ტაიმის ბოლოს სტუმრებმა კიდევ ერთი ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენეს — შეცვლაზე შესულმა ირაკლი გვეტაძემ მასპინძელთა საჯარიმოში სამი მცველი და ზედაც მეკარე მოატყუა, მაგრამ ბურთი ცარიელ კარს ვეღარ უსწორა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა თამაში და ვითარება შემოატრიალეს. თელაველთა გააქტიურების კვალად სტუმრებს თითქოს დაღლა დაეტყოთ. თამაშს თავისი დაატყო შეცვლაზე შესულმა ზაქარია ბიძინაშვილმა. 73-ე წუთზე მის ფლანგურ გარღვევას ლუკა ტეტიაშვილის უზუსტო დარტყმა მოჰყვა. 79-ეზე ნიკა დავითაშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარე ზვიად სტურუას ხელიდან გაუვარდა, მაგრამ იქვე მდგომმა ლუკა ტეტიაშვილმა კვლავ ვერ იხეირა.

გულშემატკივარი „კახეთისგან“ გოლს ითხოვდა, თუმც შეტევაში გართულ მასპინძლებს „ჩიხურას“ კონტრშეტევა გაეპარათ და დიმიტრი გერგიშვილმა გიორგი მიქაძე საჯარიმოში მოცელა. დვალის ზუსტი პენალტი გამარჯვებისა გამოდგა.

გაშვებული გოლის შემდეგ თელაველები ცდილობდნენ გათანაბრებას, მაგრამ ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე სტუმართა მხარეს იყო.

# საქართველოს ჩემპიონატი

17 მარტი. ვერის ბაღი

**დინამო 58:111 აზოტი**

*20:24 15:31 14:21 9:34*

დინამო: ბადრიძე (4), ფაიქრიძე, ლაფანაშვილი (9), გვიმრაძე (20), კოლუაშვილი (10); ნ. ნოზაძე (8), გულისაბედაშვილი (4), ბოლქვაძე (2), წერეთელი (1), სიგუა, გაბაშვილი

აზოტი: გამყრელიძე (6), ბოისა (3), ტულუში (21 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), ბეჟანიშვილი (10), უგრეხელიძე (11); დიდია (13), მინაშვილი (12), მარკოიშვილი (11), გოგობერიშვილი (10), ჭოჭუა (4), ტუჯანი (4), ცაკვავა (5)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ აბდულაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სტუ 90:111 თსუ**

*28:21 22:25 20:30 20:35*

სტუ: ეძგვერაძე (3), სეფისკვერაძე (10), ბერაია (40), კობრეიძე (8), ფოლადაშვილი (3), მისურაძე (12), ახალკაცი (14), ლ. ნოზაძე

თსუ: ბ. ბერიშვილი (17), ფანჩულიძე (5), ლეჟავა (21), მარხვაშვილი (4), ვეფხვაძე (4), შანიძე (13), მათიაშვილი (14), სოხაძე (2), ხეცურიანი (17), ტყეშელაშვილი (4)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ გელოვანი

**მაკაბი 71:90 ავიამშენი**

*19:7 20:24 20:20 12:39*

მაკაბი: დოლიძე (11), ხორავა (2), პერტენავა, გ. შერმადინი (32), კორძაძე (3), კორკოტაძე (7), ს. შერმადინი (13), პირველაშვილი (3), ბარსეგიანი

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (8), ბაბიაშვილი (26), ხოშტარია (2), მოსეშვილი, ნიკოლაძე, ი. ბერიშვილი (14), ნინიაშვილი (9), კეიდია (5), სუხიშვილი (17), კვიმრაძე (9)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

## სამმაგი ტულუში



რა არ გაუკეთებია მიმდინარე ჩემპიონატში მაკაბელ გიორგი შერმადინს — 60 ქულა, ოცზე მეტი მოხსნა, ათამდე დაფარება და პასი, მაგრამ სამმაგ დუბლამდე ყოველთვის რაღაცა აკლდებოდა. შერმადინი ყველა მატჩში 40 წუთი იმყოფება მოედანზე და მის შედეგიანობას ეს ფაქტორიც განსაზღვრავს. აი, „აზოტის" უკანახაზელმა კოტე ტულუშმა კი სულ რაღაც 26 წუთში მოახერხა სეზონის პირველი სამმაგი დუბლის გაზრზება. რუსთაველებმა „დინამოს" დაუნდობლად რომ მოუგეს, ტულუშმა 21 ქულა, 11 მოხსნა და 10 პასი მიითვალა.

საერთოდ, ტულუში სიზუსტით ყოველთვის გამოირჩევა. ამას წინათ მან სულ რაღაც 23 წუთში 45 ქულა მოინაგრა და თან 11 ცდიდან ყველა სამქულიანი ჩააგდო. გუშინწინ კოტემ კვლავ გამოაჩინა თავისი სნაიპერული თვისებები — მართალია, გამორჩეულად ბევრი ქულა არ ჩაუგდია, მაგრამ მოხსნებში და პასებში უწია ათქულიან ზღვარს და სეზონის პირველი სამმაგი დუბლი გამოაცხო.

საკუთრივ მატჩს არანაირი ინტერესი არ აზლდა, იმდენად დიდი იყო რუსთაველთა უპირატესობა. „აზოტი" ეტყობა, ისე გააბრაზა „ავიამშენთან" წაგებამ, რომ მას მერე ყველა შემხვედრს ბოლომდე უსწორდება.

გასული ტურის დანარჩენ მატჩებშიც არაფერი იყო თვალსასეირო. „მაკაბი" „ავიამშენს" კარგა ხანს უძალიანდებოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც წააგო, ხოლო თსუ-მ სტუდენტურ დერბიში სტუ საპირველტაიმო ჭიდაობის მერე მეორეში იოლად დაამარცხა.

ცხრილში არაფერი შეცვლილა: „აზოტი" პირველზეა და სასწაული იქნება, რომ ჩამოქვეითდეს, ხოლო „ავიამშენი" და თსუ მეორე-მესამეზე არიან და ადგილები რომც გაცვალონ, საპლეიოფოდ მათთვის მაინც არაფერი შეიცვლება.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო მითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 17 | 16 | 1 | +413 | 33 |
| ავიამშენი | 17 | 13 | 4 | +220 | 30 |
| თსუ | 17 | 12 | 5 | +197 | 29 |
| დინამო | 17 | 5 | 12 | -237 | 22 |
| სტუ | 17 | 3 | 14 | -334 | 20 |
| მაკაბი | 17 | 3 | 14 | -293 | 20 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

16 მარტი

**ლეიკერსი 116:111 პორტლენდი**

*ძირითადი დრო 98:98*

ლეიკერსი: ბრაიანტი (65)

პორტლენდი: რენდოლფი (31), უდოკა (19), ოლდრიჯი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ იორკი 90:92 ნიუ ორლეანი**

ნიუ იორკი: ფრენსისი (21 ქულა, 10 პასი), ფრაი (20), კარი (18)

ნიუ ორლეანი: პოლი (20), ვესტი (18 ქულა, 12 მოხსნა), ბატლერი (17)

**ფილადელფია 89:88 იუტა**

ფილადელფია: იგუდალა (23), დალემბერტი (17), მილერი (16)

იუტა: უილიამსი (18 ქულა, 16 პასი), ოქური (15 ქულა, 10 მოხსნა)

**შარლოტი 93:102 კლიპერსი**

შარლოტი: ფელტონი (18), ვოლესი (15), ერმანი (15)

კლიპერსი: ტომასი (24), ბრენდი (19) ქულა, 10 მოხსნა)

**მაიამი 103:97 საკრამენტო**

მაიამი: ონილი (23), უილიამსი (19), ჯონსი (19)

საკრამენტო: არტესტი (32 ქულა, 11 მოხსნა), ბიბი (21), აბდურ-რაჰიმი (18)

**დალასი 106:101 ბოსტონი**

დალასი: ნოვიცკი (30 ქულა, 12 მოხსნა), ჰოვარდი (30), ტერი (16)

ბოსტონი: პირსი (29), გრინი (25), ჯეფერსონი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**ფინიქსი 83:105 დეტროიტი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (24 ქულა, 15 მოხსნა), ნეში (20)

დეტროიტი: მიური (25), ვოლესი (20), ვებერი (17)

**გოლდენ სტეიტი 108:86 მინესოტა**

გოლდენ სტეიტი: ელისი (24), ჯეკსონი (15), დევისი (15)

მინესოტა: ფოი (20), გრანეტი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**ტორონტო 110:114 ჰიუსტონი**

ტორონტო: ფორდი (18), დიქსონი (17), ბოში (16 ქულა, 19 მოხსნა)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (24), მინი (23 ქულა, 12 მოხსნა), ალსტონი (23 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა)

17 მარტი

**ინდიანა 113:90 ატლანტა**

ინდიანა: ტინსლი (5 ქულა, 14 პასი), დანლივი (21), გრეინჯერი (18), ონილი (10), მერფი (22); დიოგუ (15), არმსტრონგი (11), უილიამსი (7), მარშალი (2), მაკლეოდი (1)

ატლანტა: ჯ. ჯონსონი, ჩაილდრესი (11 ქულა, 10 მოხსნა), მ. უილიამსი (12), სმიტი (16 ქულა, 11 მოხსნა), ფაჩულია (24 წუთი, 16 ქულა, 7 მოხსნა); შ. უილიამსი (13), ჯონსი (7), სტუდემაიერი (6), ლუ (6), აივი (2)

**დენვერი 131:107 ფინიქსი**

დენვერი: აივერსონი (44 ქულა, 15 პასი), ენტონი (29), ილარიო (14 ქულა, 10 მოხსნა)

ფინიქსი: ბარბოსა (25), ნეში (15 ქულა, 10 პასი), სტუდემაიერი (13)

**ვაშინგტონი 125:103 ნიუ ორლეანი**

ვაშინგტონი: არენასი (30 ქულა, 11 პასი), ჯემისონი (21), სტივენსონი (18)

ნიუ ორლეანი: პოლი (21), ვესტი (17)

**ორლანდო 83:95 საკრამენტო**

ორლანდო: ნელსონი (23), არიზა (1,)

საკრამენტო: მარტინი (20), არტესტი (19), ბიბი (16)

**კლივლენდი 82:73 იუტა**

კლივლენდი: ჯეიმსი (24 ქულა, 17 მოხსნა, 9 პასი), პავლოვიჩი (21)

იუტა: ბუზერი (19 ქულა, 14 მოხსნა), ოქური (19)

**მემფისი 104:103 ჩიკაგო**

მემფისი: მილერი (25 ქულა, 12 მოხსნა), გასოლი (21 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება)

ჩიკაგო: გორდონი (33), დენგი (23), ჰაინრიხი (16)

**სან ანტონიო 85:91 ბოსტონი**

სან ანტონიო: პარკერი (30), დანკანი (20 ქულა, 16 მოხსნა, 7 დაფარება)

ბოსტონი: პირსი (30), ვესტი (23), ჯეფერსონი (20 ქულა, 12 მოხსნა)

**მილუოკი 97:91 შარლოტი**

მილუოკი: რედი (27), ბელი (18), ბოგუტი (17 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (17)

შარლოტი: ვოლესი (20 ქულა, 13 მოხსნა), ჰერმანი (18)

**სიეტლი 98:99 გოლდენ სტეიტი**

სიეტლი: ალენი (25), ლუისი (23), უილკოქსი (15)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (23), ჰარინგტონი (20), დევისი (19)



## 65!

## ბრაიანტმა ლეიკერსს პორტლენდი აჭამა

**„ინდიანა პეისერზმა"** მაინცდამაინც „ატლანტა ჰოქსთან შეწყვიტა უიღბლო სერია, ზედიზედ 11 წაგების შემდეგ ზაზა ფაჩულიას გუნდი მოიხელთა და ამდენი ხნის ნაშიმშილებმა ერთ ლუკმად იმყოფინა. „ატლანტა" პირველი ტაიმის შემდეგ 24 ქულას აგებდა და მისმა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა მეორეში ბევრით ვერ შეცვალა თამაშის სცენარი. რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, „ჰოქსის" ქართველმა ცენტრმა ნორმალურად ითამაშა, 24 წუთში 16 ქულა და 7 მოხსნა მოინაგრა, მაგრამ...

როგორც ჩანს, კრიზისშია „ფინიქს სანზი", ეს გუნდი თითქოს გამოფიტულივითაა თრილერივით მატჩში „დალასის" ძლევის შემდეგ — ჯერ შინ 22 ქულით წააგო, შემდეგ კი დენვერში 24 ქულით შერცხვა. დენვერელმა ალენ აივერსონმა სტივ ნეშს და კომპანიას 44 ქულა ჩაუკალთა.

კიდევ უფრო მეტი, 65 ქულა მოიხვეჭა კობი ბრაიანტმა და თავად სეზონის საყოველთაო რეკორდი დაიურვა, „ლეიკერსს" კი ზედიზედ წაგებათა 7-მატჩიანი სერია შეაწყვეტინა.



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

16 მარტი

**ვაშინგტონი 5:1 ტორონტო**

*2:0 1:1 2:0*

1:0 ჟირუ (2), 2:0 სიომინი (8), 2:1 ანტროპოვი (33), 3:1 გორდონი (36), 4:1 ბიჩი (43), 5:1 ფლაიშმანი (57)

**პიტსბურგი 6:3 მონრეალი**

*2:0 0:2 4:1*

1:0 კროსბი (5), 2:0 კრისტენსენი (20), 2:1 ჰიგინსი (24), 2:2 სურეი (37), 3:2 კრისტენსენი (44), 4:2 რობერტსი (45), 4:3 მარკოვი (46), 5:3 უელე (54), 6:3 კროსბი (59)

**ატლანტა 2:1 რეინჯერსი**

*0:1 1:0 0:0 1:0 (ოვერტაიმი)*

0:1 ევერი (20), 1:1 ჰოსა (23), 2:1 ჟიტნიკი (63)

**ტამპა 2:3 ბუფალო**

*1:3 0:0 1:0*

1:0 ლეკავალიე (3), 1:1 პომინვილი (8), 1:2 როი (9), 1:3 პომინვილი (11), 2:3 ლეკავალიე (45)

**ანაჰაიმი 5:2 ჩიკაგო**

*3:0 2:1 0:1*

1:0 სელიანე (4), 2:0 პერი (10), 3:0 სელიანე (17), 4:0 მაკდონალდი (30), 5:0 მაკდონალდი (33), 5:1 ბურკი (40), 5:2 უილიამსი (58)

**სან ხოსე 3:0 კოლუმბუსი**

*1:0 1:0 1:0*

1:0 ტორნტონი (17), 2:0 კლოუ (39), 3:0 ჰენენი (60)

17 მარტი

**ნიუ ჯერსი 2:7 კაროლინა**

*0:1 1:4 1:2*

0:1 ლაროუზი (5), 0:2 ვასიჩეკი (24), 0:3 უიტნი (25), 0:4 ბრინდამორი (29), 1:4 კლარკსონი (31), 1:5 ლაროუზი (37), 1:6 უოკერი (48), 1:7 გლისონი (53), 2:7 ზეიდჟაკი (54)

**რეინჯერსი 7:0 ბოსტონი**

*1:0 6:0 0:0*

1:0 როჟივალი (4), 2:0 ევერი (23), 3:0 პრუხა (26), 4:0 კალაჰენი (26), 5:0 კალენი (31), 6:0 კალენი (31), 7:0 კალაჰენი (40)

**ოტავა 3:2 ფილადელფია**

*1:1 1:0 1:1*

1:0 პრეისინგი (15), 1:1 რიჩარდსი (16), 2:1 კომრი (34), 3:1 შეფერი (50), 3:2 ჰეტჩერი (57)

**ფლორიდა 8:5 აილენდერსი**

*3:3 1:0 4:2*

1:0 ოლეში (2), 1:1 სმიტი (11), 1:2 სილინჯერი (13), 2:2 პელტონენი (16), 2:3 სილინჯერი (17), 3:3 კემპბელი (18), 4:3 კოლნიკი (28), 4:4 ბერჟერონი (46), 5:4 იოკინენი (47), 6:4 იოკინენი (48), 6:5 სმიტი (58), 7:5 შტუმპელი (60), 8:5 პელტონენი (60)

**ნეშვილი 3:2 დალასი**

*0:0 3:1 0:1*

1:0 ტუტუ (30), 1:1 მოდანო (51), 2:1 ტიმონენი (32), 3:1 ტიმონენი (40), 3:2 მოდანო (58)

**ედმონტონი 2:3 სენტ ლუისი**

*1:1 0:1 1:0 0:1 (ოვერტაიმი)*

0:1 ჩაიანეკი (18), 1:1 ბროდზიაკი (19), 1:2 ვოივიტკა (34), 2:2 ჰორკოფი (50), 2:3 ბრიუერი (63)

**კალგარი 2:4 მინესოტა**

*1:1 1:1 0:2*

1:0 ლენგკოუ (1), 1:1 გაბორიკი (19), 2:1 ტანგეი (25), 2:2 ველიო (29), 2:3 როლსტონი (47), 2:4 დემიტრა (55)

**ფინიქსი 3:6 კოლორადო**

*1:2 2:1 0:3*

0:1 შჩასტნი (10), 0:2 საკიკი (13), 1:2 ტომასი (19), 2:2 დოუნი (26), 3:2 რენიკი (34), 3:3 საკიკი (35), 3:4 ჰაიტი (44), 3:5 რიჩარდსონი (58), 3:6 შჩასტნი (59)

**ვანკუვერი 4:1 დეტროიტი**

*1:1 2:0 1:0*

0:1 დაციუკი (7), 1:1 სმოლინსკი (12), 2:1 კრაიჩეკი (31), 3:1 მორისონი (38), 4:1 ლინდენი (59)

**ლოს ანჯელესი 5:3 კოლუმბუსი**

*2:0 3:2 0:1*

1:0 პიუორდი (4), 2:0 ვიშნოვსკი (8), 3:0 ვივერი (25), 4:0 ბლეიკი (34), 4:1 პლატი (36), 5:1 ლუნდმარკი (37), 5:2 ნეში (39), 5:3 პლატი (59)

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური. 17 მარტი. მადრიდი

# ესპანეთი 31:17 საქართველო

ესპანეთი: ენრიკე, კანო როდრიგესი, მოტა, კანოსა, მარლე, როკე სეგოვია, ფეიხო, კრიადო, მატა, ბარე, ვიდალი, ბარსენა, სალასარი, ბორკესი, ფერარა
შეცვლაზე შევიდნენ: სერანო, გონსალესი, კაბალერო
3ლ: მოტა, მარლე (2); 2გ: სეგოვია; 4ს: რეგოვია

საქართველო: ელიზბარაშვილი, დ. კაჭარავა, ი. გიორგაძე, შკინინი, კვირიკაშვილი, სამხარაძე, ბოლღაშვილი, მჭედლიშვილი, მაისურაძე, დიდებულიძე, პაპაშვილი, აშვეთია, ბელქანია, კოპალიანი
შეცვლაზე შევიდნენ: ჟღენტი, გ. კაჭარავა, დადუნაშვილი
3ლ: ბოლღაშვილი (2), შკინინი; 1გ: კვირიკაშვილი

# ქართველებმა რუმინეთი ესპანეთს გაატანეს

**შაბათს** საქართველოს ნაკრებმა სეზონის და საერთათასო მეორე მატჩი გამართა ესპანეთთან და გვარიანი სირცხვილი ჭამა. ჩვენები სტუმრად 17:31 განადგურდნენ მასპინძელ „ლომებთან", რომლებიც ორწლიანი პაუზის შემდეგ, ქვედა დივიზიონიდან წლეულს დაბრუნდნენ ერთა თასზე.

საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა შეკოწიწებული რაზმი ჩაიყვანა მადრიდში. ჩვენებს ძირითადი შემადგენლობის თორმეტი მორაგბე აკლდათ. ამათგან მესამედი ტრავმირებული იყო, ზოგი გამოცდილი მოთამაშე თავად მწვრთნელებმა არ მოაცდინეს ვითომ მორიგი „გასეირნებისთვის". ზოგი კი თავნება ფრანგულმა კლუბებმა არ გამოუშვეს სანაკრებოდ, ჩვენი რაგბის კავშირი კი მოთამაშეთა ინტერესების გათვალისწინებით, კლუბებთან კონფლიქტს მოერიდა. თუ საესპანეთო 22-კაცა გუნდს ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ქართველი „ლეგიონერები" მეორე კი არა, ლამის მესამე შემადგენლობით ჩავიდნენ ესპანეთთან სათამაშოდ, რომელმაც წლეულს უკვე „მოასწრო" შინ რუსეთთან და სტუმრად რუმინეთთან განადგურება.

ახლა მთავარი ვთქვათ. ტრავმირებული მორაგბეები რომ არ ჩავთვალოთ, ძირითადი შემადგენლობის რვა მოთამაშე ან კლუბმა არ გამოუშვა, ან თავად მწვრთნელებმა დაასვენეს. ფრანგული კლუბების ურჩობა ახალი ამბავი არ არის და ჯერ კიდევ კლოდ სორელის მწვრთნელობისას იყო ეს პრობლემა. გასაგებია, რომ საფრანგეთში ქართველ ლეგიონერებს არ ულხინთ და კლუბში დასამკვიდრებლად ერთი შეხედვით „გასასეირნებელი" სანაკრებო მატჩების გამოტოვება უწევთ, მაგრამ კიდევ ბნელა? ეს ხომ არ იყო რომელიღაცა ტესტ-მატჩი, ეს იყო ოფიციალური ტურნირის შეხვედრა, რომელიც ექვსი ერის პარალელურად მიმდინარეობს და საერთაშორისო კალენდარში სანაკრებო დღედ არის აღნიშნული. კლუბებს უფლება არ ჰქონდათ, მორაგბე არ გამოეშვათ ან ხელი შეეშალათ. რა გამოდის? სანამ ჩვენი რაგბის კავშირი პრინციპული არ იქნება, დათმობა-არხეინობით ესპანეთთანაც წავაგებთ, პორტუგალიასთან და, ღმერთმა ნუ ქნას, 24 მარტს თბილისში რუსეთთან შევრცხვეთ.

მსოფლიოს თასზე მეორედ გასვლა იქით იყოს და პირველ მატჩში სტუმრად რუმინეთთან მოგება, 2007-08 წლების ერთა თასის ფინალის ტოლფასი გამარჯვება იყო. საქართველოს ნაკრებს ისლა რჩებოდა, მასზე ბევრად სუსტი მეტოქეები შინ და გარეთ მოენგრია და გაისად თბილისში რუმინეთს დალოდებოდა. რა სათქმელია, მაგრამ მაინც, გაისად ჩვენებს რუმინეთთან სამი ან ნაკლები ქულით მარცხიც აწყობდათ, ერთა თასი 2001 წლის აქეთ მეორედ რომ მოეგოთ. და ერთიც, საქართველოს ნაკრები მინიმუმ ათი წელი მაინც ამ ტურნირის გარდა ვერაფერს მოიგებს, ამიტომაც ესპანეთთან ქართული უდარდელობის გამო წაგებულმა მატჩმა პრაქტიკულად ყველაფერი წყალში ჩაყარა. ბოლოს და ბოლოს, შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასზე ჩვენების მაქსიმუმიც და მინიმუმიც ნამიბიის მოგებაა და საამისოდ ახლა ექსპერიმენტები საჭირო აღარ იყო, მით უმეტეს, ტრავმების გამო ისედაც გვაკლდა დიდი ძალა.



დავით ბოლღაშვილი
ნაკრებში ორი ლელოთი დაბრუნდა

რაც შეეხება თავად მატჩს, ჩვენებმა ნაკრებში სამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებული დავით ბოლღაშვილის ლელოთი პირველი ტაიმი 5:3 კი მოიგეს, მაგრამ მეორე ნახევარში სამჯერ ათი-ათი წუთით იყვნენ უმცირესობაში და მეორე ორმოცწუთეულის დებიუტშივე წინ გაჭრილ მასპინძლებს ვერც იმავე ბოლღაშვილის და ვერც გიორგი შკინინის ლელოებით დაეწივნენ.

ამ წაგებით საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის ახალ ციკლში პოტენციური ლიდერობაც დაკარგა და, რა თქმა უნდა, ბევრად სუსტ მეტოქესთან განადგურებით რაგბის საერთაშორისო საბჭოს რეიტინგში მე-15 ადგილიდან მინიმუმ სამი ადგილით დაქვეითდება. ეს ჩვენმა რაგბის კავშირმა მანამდეც კარგად იცოდა...

**ბაჩო სვანიძე**

17 მარტი

რუმინეთი 46:13 ჩეხეთი

სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 0 | 1 | +66 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 1 | +25 | 2 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 0 | +3 | 2 |
| საქართველო | 1 | 0 | 1 | -11 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 0 | 3 | -50 | 2 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | -33 | 0 |

# შვიდკაცას ხუთი წაგება

**ამ უქმეებზე** საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა ტუნისის ორდღიანი რაგბობა უიღბლოდ მოიარა და შინ მოუგებლად დაბრუნდა.

აქედანვე ვთქვათ, რომ ტუნისში ოთხთა ტურნირი მოეწყო და შეჯიბრი არც ერთ სარეიტინგო შვიდკაცობაში არ ეწერა. ჩვენების გარდა, აფრიკაში მასპინძლებმა, ფრანგებმა და რუსებმა ირაგბეს, ოღონდ ქართველებისგან განსხვავებით, იქ პირველი ნაკრებით ჩავიდნენ, ჩვენებმა კი ტუნისში ექსპერიმენტული რაზმით ირაგბეს.

ტუნისის შვიდკაცას ფორმატი ასეთი იყო: მეტოქეებმა ერთ წრედ ჩაამთავრეს ჯგუფური ეტაპი, მერე ნახევარფინალში პირველი ადგილოსანი მეოთხეს შეხვდა, მეორე კი — მესამეს. საქართველომ ჯგუფური ეტაპი მეოთხე ადგილზე დაასრულა და ნახევარფინალი მასპინძელ ტუნისთან წააგო, ხოლო მესამე ადგილისთვის რუსეთთან დამარცხდა.

საქართველო ტუნისში

ჯგუფური ეტაპი

ტუნისი 24:0 საქართველო

საქართველო 12:14 რუსეთი

საქართველო 14:17 საფრანგეთი

ნახევარფინალი

ტუნისი 19:0 საქართველო

მე-3 ადგილისთვის

საქართველო 7:10 რუსეთი

ექვსი ერი 2007

# მამლის მეორე ყივილი

17 მარტი

იტალია 24:51 ირლანდია

იტალია: 2ლ: ბორტოლამი, დემარინი; 1გ: სკანავაკა; 2ს: პეცი; 2ა: პეცი
ირლანდია: 8ლ: დარსი, დემფსი (2), ისტერბი, ჰიკი (2), ჰორგანი, ოგარა; 4გ: ოგარა; 1ს: ოგარა

საფრანგეთი 46:19 შოტლანდია

საფრანგეთი: 6ლ: არინორდოკი, ჰეიმანი, ტოზიონი, მარი, მილუ, ვერმიულენი; 5გ: ბოგზი; 2ს: ბოგზი
შოტლანდია: 3ლ: ლამონტი, მიურეი, უოლკერი; 2გ: პატერსონი

უელსი 27:18 ინგლისი

უელსი: 2ლ: ჰუკი, ჰორსმენი; 1გ: ჰუკი; 4ს: ჰუკი; 1ა: ჰუკი
ინგლისი: 2ლ: ელისი, რობინსონი; 1გ: ფლუდი; 1ს: ფლუდი; 1ა: ფლუდი

**შაბათს** დასრულდა წლევანდელი ექვსი ერი. ჩემპიონი ზედიზედ მეორედ საფრანგეთი გახდა, რომელმაც შარშანდელივით წლეულსაც ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა ირლანდიას. „ექვსი ერის დებულება შესაცვლელია. უსამართლობაა, როდესაც ჩემპიონი ბურთების უკეთესი სხვაობით ვლინდება. ან ორივესთვის მიეცათ ჩემპიონობა ან ერთმანეთში დამატებითი მატჩი გვეთამაშა" — ბრაზს ვერ მალავდა ირლანდიელთა მწვრთნელი ედი ოსალივანი. საფრანგეთის მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი: „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ევროპაში საუკეთესო ნაკრები ვართ. მესმის ირლანდიელების, რომლებმაც ჩემპიონობა ზედიზედ ორჯერ ჩვენთან ბურთების უარესი შეფარდებით დაკარგეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ორი კვირის წინ ირლანდიას სტუმრადაც მოვუგეთ. ესე იგი, ჩვენ ღირსეული ჩემპიონები ვართ".

ჩემპიონობის შანსი ჰქონდა ინგლისსაც, მაგრამ სტუმრად უელსთან დიდი ანგარიშით დამარცხდა. უელსი კი ბეწვზე ასცდა სამარცხვინო პრიზს, „ხის კოვზს", რომელიც ყველა მატჩში დამარცხებულს გადაეცემა.

**ბაჩო სვანიძე**

საბოლოო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 0 | 1 | +69 | 8 |
| ირლანდია | 4 | 0 | 1 | +65 | 8 |
| ინგლისი | 3 | 0 | 2 | +4 | 6 |
| უელსი | 1 | 0 | 4 | -27 | 2 |
| იტალია | 2 | 0 | 3 | -53 | 4 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 4 | -68 | 2 |

## საქართველოს რაგბის კავშირის პრესცენტრის განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის №70 (2007 წლის 22 თებერვალი) განკარგულების, „სინათლის" სპორტული მოედნის საქართველოს რაგბის კავშირისთვის პრივატიზაციის წესით გადაცემასთან დაკავშირებით", რაგბის კავშირი მიზანშეწონილად მიიჩნევს განაცხადოს:

თავიდანვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ფეხბურთის, როგორც სპორტის ფლაგმანის ადგილი და ქართული ფეხბურთისადმი ჩვენი გულშემატკივრების სრულიად დამსახურებული უანგარო სიყვარული უდავოა და ეჭვს არ იწვევს.

ქართული ფეხბურთის უბრწყინვალესი გამარჯვებები არის მყარი საფუძველი მადლამი საყოველთაო სიყვარულის, პატივისცემისა და განსაკუთრებული მიდგომისა, რაც ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან სათანადოდ არის შეფასებული.

ქართველი მორაგბეები, ისევე როგორც ქართული სპორტის უკლებლივ ყველა ღირსეული წარმომადგენელი, გულწრფელი სიხარულით ადევნებენ თვალს ფეხბურთში მიმდინარე პოზიტიურ ცვლილებებს და ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელ წარმატებებს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სულ ცოტა ხანში ჩვენი ფეხბურთელები თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებენ მსოფლიო ფეხბურთის წამყვან გუნდებს შორის, არაერთ გამარჯვებას მოიპოვებენ და ამით უდიდეს სიხარულს მიანიჭებენ ქართველ გულშემატკივრებს.

ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართველი მორაგბეების გამარჯვებები საერთაშორისო ასპარეზზე. ვფიქრობთ, მსოფლიო თასის ფინალში გასვლამ ქართული სპორტის ქომაგებს არაერთი სასიამოვნო განცდა მოუტანა. 2007 წლის შემოდგომაზე საფრანგეთში მსოფლიო ფორუმზე ჩვენი გუნდის თუნდაც მხოლოდ მონაწილეობა მსოფლიოს სხვა წამყვან გუნდებს შორის საქართველოს, როგორც წარმატებული ქვეყნის წარმოჩენის კიდევ ერთი თვალსაჩინო საშუალება იქნება.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რაგბი ფეხბურთის ფუძემდებლების სამშობლოში, ამ მშვენიერი თამაშის წიაღში წარმოიშვა და დღესაც ბრიტანეთში გუნდების უმრავლესობა ფეხბურთი-რაგბის ერთიანი კლუბით არის წარმოდგენილი.

საქართველოს რაგბის კავშირი საფუძველშივე გამორიცხავს რაიმე სახის უთანხმოებას და მით უმეტეს დაპირისპირებას ჩვენთვის ყველასთვის სათაყვანებელ სპორტის სახეობასთან — ფეხბურთთან და მის მესვეურებთან. ბოლო დღეებში პრესაში გაჩენილ აჟიოტაჟს კი მხოლოდ დასანან გაუგებრობად აღვიქვამთ.

ამ ფონზე გულწრფელად მივესალმებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ბატონ ნოდარ ახალკაცის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ჩვენთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ „სინათლის" სარაგბო სტადიონი, ისევე როგორც „შევარდენი", რომელზეც მორაგბეებთან ერთად ყოველგვარი პრობლემების გარეშე ვარჯიშობენ და თამაშობენ ფეხბურთელები, ღია იქნება ჩვენს შორის თანამშრომლობისთვის.



AFP ინდიან უელსიდან

# დანიელას მზიანი ველი

## ჰანტუხოვა მხოლოდ ინდიან უელსში იგებს

| კაცები |
|---|
| ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 3 285 000 $ |
| **ნახევარფინალი** |
| ნოვაკ ჯოკოვიჩი (12, სერბეთი) — ენდი მიურეი (13, ბრიტანეთი) 6:2 6:3 |
| რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ენდი როდიკი (3, ბრიტანეთი) 6:4 6:3 |
| **ქალები** |
| ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი. საპრიზო 2 100 000 $ |
| **ფინალი** |
| დანიელა ჰანტუხოვა (14, სლოვაკეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 6:3 6:4 |

დანიელა ჰანტუხოვამ გაიხსენა ხუთი წლის წინანდელი და ინდიან უელსში კვლავ იმარჯვა. სიფრიფანა სლოვაკი განსაკუთრებულად შთამბეჭდავი შედეგებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ამ კალიფორნიულ უდაბნოში ყოველთვის კარგად თამაშობს, რაც ამ კვირაშიც დაამტკიცა და ეს შეიდღეული მშვენივრად გაიარა.

ხუთი წლის წინ ფინალში სლოვაკმა მარტინა ჰინგისს გადაუარა და მთლიანობაში არც გუშინ გასჭირვებია ტურნირის მთავარი მატჩის მოგება. სხვათა შორის, 23 წლის სლოვაკმა ამ ტრიუმფალური სვლის დროსაც მოუგო ჰინგისს. აი, გუშინ კი დანიელას სვეტლანა კუზნეცოვასთან მოუწია დაპირისპირება და, ყველასთვის მოულოდნელად, ძალიან ძლიერი რუსი მისსავე იარაღით — უკანა ხაზიდან მძლავრი თამაშით დასცა.

„დიდებული გრძნობაა. ასეთი გამარჯვებები გაწეული შრომისა და წვალების ანაზღაურებაა. დღეს კორტზე გასვლისას ძალიან კარგ ხასიათზე ვიყავი და თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ყველაფერი საჩემოდ უნდა წასულიყო. მიყვარს ეს ადგილი“ — ხარობდა ნამატჩევს ჰანტუხოვა, რომელმაც კარიერაში მხოლოდ მეორე ტიტული მოიგო და ეს ორჯერვე ინდიან უელსში გაახერხა.

კაცთა ფინალი კი ისეთი ვერ გამოდგა, ადგილობრივთა უმეტესობა რომ ისურვებდა — ამერიკელები გულის ფანცქალით ელოდნენ ენდების ჯახს. მოგეხსენებათ, გასული სამ-ოთხი კვირის განმავლობაში როდიკი და მიურეი ორჯერ დაეტაკნენ ერთმანეთს და ყაიმით გაიყარნენ — ორივემ თითოჯერ იმარჯვა. ამიტომაც ყველას იმედი ჰქონდა, რომ ამ მინიდუელის ბედი ინდიან უელსის ფინალში გადაწყდებოდა, მაგრამ... ფინალს ვერც როდიკმა უწია და ვერც მიურეიმ.

ჯერ იყო და იანკი-ბოის რაფაელ ნადალი გაუსწორდა, თან ძალიან იოლად და ტექნიკურად, რაც მართლაც დიდი მოულოდნელობა იყო. ესპანელი თავიდანვე მთლიანად აკონტროლებდა სიტუაციას და ბურთს ძალიან ღრმად ურტყამდა როდიკის ნახევარზე, რითაც ამერიკელს ბადესთან გასვლის საშუალებას უსპობდა. უკანა ხაზიდან თამაშში კი ნადალს ენდი-ბოი კი არა, როჯერ ფედერერიც ვერ გაეჯიბრება. სწორედ ამიტომ, იანკი ძალიან ანერვიულდა და ბადესთან უაზროდ, მოუმზადებლად დაიწყო გასვლა, რაც მისთვის კიდევ უფრო დამღუპველი აღმოჩნდა. საბოლოოდ ნადალმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

“ის დღეს სუპერაგრესიული იყო. ასეთი რაფა არასოდეს მინახავს“ — კვირობდა როდიკი პრეს-კონფერენციაზე.

“მართლა კარგად ვითამაშე. ჰარდზე ასე სრულყოფილად თუ ვიჩოგნავებდი, არც მე მეგონა“ — ეს უკვე ნადალმა თქვა, რომელიც შეეცდება ხანგრძლივი სატიტულო გვალვის შეწყვეტას — ესპანელს ხომ „როლან გაროსის“ შემდეგ, უკვე ცხრა თვეა, არსად უმარჯვია.

ოღონდ ეგაა, რომ ნადალს მაგრად უნდა გაუჭირდეს ფინალის მოგება, რადგანაც აქ ტიტულებზე მასზე უფრო მეტად დაგეშილ ახალგაზრდა სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩთან მოუწევს დატაკება. ეს ბიჭი სულ უფრო და უფრო უმატებს და ელიტაში მყარად იმკვიდრებს ადგილს. აგერ ახლაც, მშვენიერ ფორმაში მყოფ მიურეისაც ადვილად გაუმკლავდა. თუმც ბრიტანელიც შევიცოდოთ და ვთქვათ, რომ ამ მატჩს არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში შეხვდა — მეოთხედფინალში ტომი ჰაასთან გადატანილი ჯახიდან შოტლანდიელს ტრავმირებული მუხლი და თითქმის ნალრძობი ტერფი გამოჰყოლია, რის გამოც სერბთან მატჩში ძლივს დალასლასებდა და ამიტომ ასე უკბილოდ წაგებაც მეტ-ნაკლებად ეპატიება.

**კახა ლომჯარია**



# მოგება, კიდევ მოგება

## კოკაიმ თასისკენ გაიხედა

**ოსაკური** ბაშოს მეშვიდე-მერვე ტური ქართველებს რომ გაგვიხარდებოდა, ისე ჩაჭიდავდა. ლევან ცაგურიამ მშვენიერი უქმეები მოიწყო და წაქცეულ მეტოქეთა რაოდენობა ექვსამდე, დადებითი ბალანსი კი ოთხ ქულამდე გაზარდა. შაბათს კოკაიმ ექსსეკივაკე ტოჩინონადა მისსავე ილეთზე გამოიჭირა, ხოლო კვირას მაკუტის ერთ-ერთ უმძიმეს სეკიტორი, 178-კილოგრამიან ივაკიამა გადაუძახა ხალიჩიდან.

დასავლეთის მეშვიდე მაეგაშირად წოდებულ ქართველს დარჩენილ რვა ტურში საბოლოო დადებითი ბალანსის, კატიკოსის შესასრულებლად ორი შეხვედრის მოგებაც ეყოფა. შედეგად, რეიტინგსიაშიც დაწინაურდება. რაც უფრო დიდი იქნება პლუსბალანსი, ალმასვლაც შესაბამისად მოიმატებს, თუმცა ძნელად დასაჯერებელია, ჩვენებური ახლა კატიკოსზე ფიქრობდეს. ექვსი ქულით იმპერატორის თასისკენ მიმავალ გზაზე ლიდერი დუეტის ზურგსუკან ჩამდგარა. ყველაზე ახლოს კი თასთან ოძეკები ტოჩიაძუმა და ხაკუხო არიან.

30 წლის ტოჩიაძუმას შვიდლიანი წაუგებელი სერია გუშინ „ბალკანელ გულივერად“ წოდებულმა ბულგარელმა ოძეკიმ კოტოოსიუმ დაუსრულა. ხაკუხომ კი კორეელი კასუგაო წამოაქცია და თანალიდერობით გაიხარა.

ორხელისუფლებიანობას ბოლო დღეს მოეღება. ტოჩიაძუმა და ხაკუხო ერთმანეთს დაეჭიდებიან. მოგებული ერთპიროვნული ლიდერი გახდება, წაგებული კი მდევართა ჯგუფში გადაინაცვლებს. იქ კოკა-



ის გარდა იოკოძუნა ასასიორიუ, სეკივაკე კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები — ხომასიო, ტამანოსიმა და ტოჩიოზანი არიან.

დღეს კოკაი ტამაკასუგას ეჭიდავება.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# ქართველებმა ფინალს ააცილეს

**ფრანგულ** დოვილში პნევმატური პისტოლეტიდან სროლის ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. საქართველოს ნაკრები მასზე რვაკაციანი შემადგენლობით გამოვიდა, მაგრამ ფინალურ ეტაპზე გადასვლა ვერც ერთმა ჩვენებურმა ვერ შეძლო.

სხვებზე უკეთ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნინო სალუქვაძემ ისროლა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა საკვალიფიკაციო რაუნდში 381 ქულა მოაგროვა და მეათე ადგილზე გავიდა. ცნობისთვის, მეშვიდე-მერვე ადგილოსნებმაც ასეთივე შედეგით გაინაღდეს ფინალურ რაუნდში მონაწილეობის უფლება. ნინო უჩაძე 373 ქულით 39-ე ადგილზე გავიდა, თამილა ასათიანი (368) — 50-ზე. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ქალთა ნაკრებმა მეათე შედეგი აჩვენა 1122 ქულით.

კაცებში ქართველები ახალგაზრდული შემადგენლობით გამოვიდნენ და ცხრილის ქვედა ნაწილში მოხვდნენ. ბესიკ სირაძემ და სერგი ჩიტაიშვილმა 564-564 ქულით 58-60-ე ადგილები გაინაწილეს. ლევან ქადაგიძე (551) კი 75-ეზე გავიდა. ჭაბუკებში ბექა გოგინაშვილი (547) 39-ე იყო, ხოლო გიორგი ბერიშვილი (537) 41-ე



## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

### მელბურნი. ავსტრალია. 17 მარტი - 1 აპრილი

# იყო ღრენა და თვალში თითის ტენა



ლარისა ილჩენკო

AFP მელბურნიდან

**კბენით** არა, მაგრამ ღრენით და თვალში თითის „ტენით“ კი დაიწყო მელბურნში მსოფლიოს ჩემპიონატი. ღია წყალში მოცურავეებმა უკვე მედლების ორი კომპლექტი გაათამაშეს და პირველი „სისხლიც“ გამოჩნდა, ერთი შეხედვით სპორტის ამ უკონტაქტო და შესაბამისად „მშვიდობიან“ სახეობაში.

ტურნირი შაბათს ღია წყალში 5 კილომეტრზე მოცურავე ქალებმა და ვაჟებმა გახსნეს ჩემპიონები ისევ ისინი გახდნენ, ვინც ორი წლის წინ მონრეალში, კონკრეტულად კი გერმანელმა ტომას ლოუცმა კაცებში, რუსმა ლარისა ილჩენკომ კი ქალებში შეინარჩუნეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულები 5-კილომეტრიან გაშლილ დისტანციაზე. მაგრამ ამ უკანასკნელს ცურვის დროს ბევრი მოხვდა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით — ვიღაცას სახეში ხელი უტაკებია (ვითომ შემთხვევით?) და სათვალე წაუძვრია. ჩემპიონიც ნახევარი დისტანცია ასე უსათვალოდ მიცურავდა. მერე კი თქვა, ფერდშიც აშკარად მითავაზესო. იმ დღეს უკვე ხმელეთზე ამოსვლის შემდეგ კიდევ არაერთმა დაიჩივლა, რომ წყალში ყოფნისას გვერდებში გვარიანად მოხვდა. ესეც თქვენი უკონტაქტო სახეობა.

„ჯერ კიდევ გუშინ ჩვენ ყველანი ერთმანეთს, ანუ კონკურენტებს მეგობრულად ვუმზერდით და ვამხნევებდით, მაგრამ დღეს ეს კეთილგანწყობა სადღაც გაქრა — ჩიოდა ილჩენკო — დღეს თითქოს ზვიგენებად ვიქეცით ერთმანეთისთვის.“

**კოტე ყორშია**

| ღია წყალი. 5 კმ |
|---|
| **კაცები** 1. ტომას ლოუცი (გერმანია, 56.49,6); 2. ევგენი დრაცევი (რუსეთი, 56.60,7); 3. სპირიდონ ჯანიოტისი (საბერძნეთი, 56.56,6) |
| **ქალები** 1. ლარისა ილჩენკო (რუსეთი, 1:00.41,3); 2. ეკატერინა სელივერსტოვა (რუსეთი, 1:00.43,6); 3. კეიტ ბრუკს-პიტერსონი (ავსტრალია, 1:00.47,6) |

# დაიჭირეთ ქურდი!

რუსეთის მოცურავეთა ნაკრები მელბურნში ხეირიანად დაბინავებულიც არ იყო, რომ ერთ-ერთი მათი სპორტსმენი გოგონა ჩავარდა არა დოპინგზე, როგორც ეს ხშირად ხდება, არამედ... სუნამოს ქურდობაზე.

ვინაიდან ქურდმა ვერ მოასწრო და მოახერხა ნაქურდლის გარეთ გამოტანა, პოლიციამ არც მისი სახელი გაახმაურა და არც ოქმი შეადგინა. ქურდს უბრალოდ მოკვეთავენ მსოფლიოს ჩემპიონატიდან და რუსეთში გააბრუნებენ.

## ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი








დევიდ კულთჰარდის „რედ ბული" ალექს ვურცის „უილიამსს" გადააფრინდა

# წითელი და შავი

## ფერარი ვიცოდით, ჰემილტონი გავიცანით

**ასე თუ** გაგრძელდა, ბრიტანელი ბუქმეიკერები მალე კლიენტურას დაკარგავენ, ხოლო „სამეფო რბოლების" ჩემპიონატი — ინტერესს.

სეზონის პირველივე ეტაპმა დაადასტურა საერთო ვარაუდი, რომ წლეულს უპირატესობა „ფერარის" ექნებოდა. ეს უკვე პარასკევს თავისუფალი პრაქტიკისას გამოჩნდა, როცა „წითელმა" ბრაზილიელმა ფელიპე მასამ საგრძნობლად ჩამოიტოვა ბოლო ორი ჩემპიონატის ტრიუმფატორი, გამაკლარენებული ფერნანდო ალონსო.

მაგრამ ფელიპეს ბედაურს კვალიფიკაციაში მოულოდნელი სენი შეეყარა. პირველი საპოულე სერიის შემდეგ მასა მეოთხე იყო, თანაგუნდელ კიმი რაიკონენს წამის მეათედით ჩამორჩებოდა და სულ მცირე, ხუთეულში მოხვედრის შანსიც ჰქონდა, მაგრამ მეორე 15-წუთიან ნაწილში პირველივე გასვლაზე სიჩქარეთა კოლოფმა უმტყუნა, მანქანამ სისწრაფე დაკარგა და ბარიერთან უსიცოცხლოდ მიესვენა.

შედეგად, მასა სტარტზე მე-16 უნდა მდგარიყო, მაგრამ სკუდერიელთა ბოსმა ჟან ტოდტმა ამჯობინა, წუნიანი ძრავა ახლით შეეცვალათ. ამის გამო ბრაზილიელ პილოტს ბრძოლის ბოლო, 22-ე პოზიციიდან დაწყება მოუხდა, თუმც შეცვლილმა — ერთ პიტსტოპიანმა სტრატეგიამ ამ უმძიმეს ვითარებაშიც კი ჩინებული შედეგი მოუტანა.

სამოტორო ხარვეზი რომ არა, ფელიპე იქნებ „ალბერტ პარკის" პოდიუმზეც გვეხილა, მაგრამ ამის თქმით სულაც არ გვინდა დავაკნინოთ შარშანდელთან შედარებით აშკარად მომძლავრებულ „მაკლარენ-მერსედესის" ორი საპრიზო ადგილი. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სხვა გუნდების წარმომადგენლები მათ დონემდე ჯერჯერობით ვერ ქაჩავენ.

კვალიფიკაცია აშკარა უპირატესობით მოიგო „ფერარიში" მიხაელ შუმახერის ადგილზე მისულმა კიმი რაიკონენმა, რაც „ყინულის კაცის" შვიდწლიან კარიერაში მე-12 პოულია.

27 წლის ფინელმა იტალიური სუპერსაჯინიბოს ბოლიდით ფანტასტიკური სადებიუტო რბოლა ჩაატარა, დაძვრისთანავე მეწინავეობა არავის დაანება და საათნახევრიანი ბრძოლის ფინიშამდე კონკურენტებისთვის ერთხელაც არ მიუცია წამოწევის საშუალება. ის კი არა, შუა დისტანციაზე კიმი 18 წამს(!) უგებდა ფერნანდოს. შემდეგ, ბუნებრივია, აღარ გაურისკავს და ტემპი შეამცირა. რაკი პოულთან ერთად მან რბოლაში უსწრაფესი წრეც მიითვალა, გამოდის, რომ რაიკონენმა ავსტრალიის დიდი პრიზი ჰეთ თრიქით მოიგო.



კიმი რაიკონენმა კარიერაში მეათე დიდი პრიზი მოიგო

გასაოცარი დებიუტი ჰქონდა პირველ მუქკანიან მეფორმულე ლუის ჰემილტონს. 22 წლის ბრიტანელმა სტარტზე თავის ჩემპიონ თანაგუნდელ ალონსოსაც კი გაუსწრო, მაგრამ მეორე, გვიანი საბოქსე შეყოვნების შემდეგ ნანდომ სუბორდინაცია აღადგინა და ფინიშთან მასზე წინ მივიდა. ჰემილტონის პოდიუმი სადებიუტო ეტაპზე უიშვიათესი ფაქტია.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ავსტრალიის დიდი პრიზი**
**18 მარტი. მელბურნი**
დისტანცია — 58 წრე — 307,574 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | რაიკონენი (ფერარი) | 1სთ 25.28,8 (215,9 კმ/სთ) |
| 2. | (2) | ალონსო (მაკლარენი) | ჩამორჩა 7,2 |
| 3. | (4) | ჰემილტონი (მაკლარენი) | 18,6 |
| 4. | (3) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 38,8 |
| 5. | (6) | ფიზიკელა (რენო) | 1.06,5 |
| 6. | (16) | მასა (ფერარი) | 1.06,8 |
| 7. | (12) | როსბერგი (უილიამსი) | 1 წრით |
| 8. | (9) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 9. | (8) | ტრული (ტოიოტა) | 1 წრით |
| 10. | (13) | კოვალაინენი (რენო) | 1 წრით |
| 11. | (17) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 წრით |
| 12. | (10) | სატო (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 13. | (7) | უებერი (რედ ბული) | 1 წრით |
| 14. | (20) | ლიუცი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 15. | (14) | ბატონი (ჰონდა) | 1 წრით |
| 16. | (11) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 2 წრით |
| 17. | (21) | სუტილი (სპაიკერი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (15) | ვურცი (უილიამსი) | გაიარა 49 წრე |
| (19) | კულთჰარდი (რედ ბული) | 49 |
| (5) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 39 |
| (18) | სპიდი (ტორო როსო) | 29 |
| (22) | ალბერსი (სპაიკერი) | 11 |

ფრჩხილებში საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
რაიკონენი 1.26,072 (221,8 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
რაიკონენი 1.25,235 (224,0 კმ/სთ)


# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 1 | ნოტინგემ ფორესტი-დონკასტერი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 14 | ბარნეტი-შრუსბერი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 23:45 | 432 | როვერსი-სტოკპორტი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 27 | ალტრინჰემი-გრეისი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 28 | მორკამბი-ალდერშოტი | 1.85 | 3.40 | 3.55 | 1.19 | 1.21 | 1.73 |
| 23:45 | 29 | ნორთვიჩი-ოქსეტერი | 2.50 | 3.30 | 2.35 | 1.42 | 1.21 | 1.37 |
| 23:45 | 434 | ტემუორთი-კიდერმინსტერი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 435 | ვეიმუთი-უოკინგი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| | | 21 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 30 | ჰალიფაქსი-ოქსფორდი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 46 | ალბიონი-სტენჰაუსმუირი | 2.55 | 3.50 | 2.25 | 1.47 | 1.19 | 1.36 |
| 23:45 | 47 | ისტ სტირლინგი-ბერვიკი | 7.00 | 4.90 | 1.30 | 2.88 | 1.09 | 1.02 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 50 | ჰანზა-კიოლნი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 427 | იუვენტუსი-ტრიესტინა | 1.15 | 5.70 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.13 |
| | | იტალია. სერია C1/A | | | | | | |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 428 | გროსეტო-ნოვარა | 1.65 | 2.90 | 6.00 | 1.05 | 1.29 | 1.95 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 127 | გრენობლი-სტრასბური | 2.70 | 2.80 | 2.65 | 1.37 | 1.33 | 1.36 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 141 | ამადორა-ბენფიკა | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 142 | ბრაგა-ნავალი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 20:15 | 429 | სლავია-ბრნო | 1.55 | 3.40 | 5.80 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| | | ინგლისი. F A Cup | | | | | | |
| | | 19 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 430 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 23:45 | 431 | ტოტენჰემი-ჩელსი | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 20 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 196 | ბეტისი-სევილია | 2.80 | 3.10 | 2.40 | 1.47 | 1.29 | 1.35 |

# რაფა: მე ჩემსას ვიტყვი და...



**ამერიკელები**, ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი „ლივერპულის“ ახალი მეპატრონეები გახლავან, რომელთაც თვის ბოლოს გუნდის მწვრთნელი რაფა ბენიტესი თავის და გუნდის მომავალზე უნდა დაელაპარაკოს.

„ჩემი ვალია, ბოსებს გეგმები გავაცნო. მე მათ უნდა ვუთხრა, როგორ ვაპირებ გუნდის განვითარებას, დანარჩენი კი თავად იციან. ამის შემდეგ ისინი უნდა დასხდნენ და გადაწყვიტონ, ულირთ თუ არა, რასაც მე ვთავაზობ“ — თქვა ბენიტესმა.

აღსანიშნავია, რომ ლივერპულელთა ესპანელი თავკაცი ბოლო დროს „მადრიდის“ რეალის ნომერ პირველ სამიზნედ იქცა. ხომ ბევრს ლაპარაკობდნენ ესპანეთის დედაქალაქში ჟოზე მაურინიუზე, მაგრამ ბოლო დროს თითქოს აქცენტები შეიცვალა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „სამეფო კლუბს“ თავისი სარეზერვო გუნდის ყოფილი თავკაცი უფრო მოსწონს, ვიდრე „ჩელსის“ სახელმქუხარე წინამძღოლი. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, თავად ბენიტესი სამშობლოში გაქცევას არ ეშურება.

იგი ამბობს: „ცხადია, უპირველეს ყოვლისა, გუნდის შესახებ უნდა შევთანხმდეთ, ყველაფერი დანარჩენი კი მოიცდის. ფული? ამ შემთხვევაში ფული მთავარი არ არის, მთავარია, სწორი მიმართულება შევინარჩუნოთ. „ლივერპულში“ თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ, რადგან ვიცი, რომ რასაც ვაკეთებ, კარგად გამომდის. აქ, კიდევ დიდხანს დიდი სიამოვნებით დავრჩები და, იმედია, ყველა ამ საკითხზე ახალი მეპატრონეები გულდასმით მომისმენენ“.

როგორც ირკვევა, რაფა ბენიტესი და ზემონახსენები ამერიკელი წყვილი „ლივერპულის“ გაყიდვის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შეხვდრიან ერთმანეთს, მეორე შეხვედრა კი 31 მარტს „არსენალთან“ თამაშის დღეს არის დანიშნული.

**ბაჩუნა ძიძია**

# როგორ მინდა, ფერგიუსონი ვიყო

## ანჩელოტის მანჩესტერი მოსწონს და „რო-მა, რო-მა“-ს გაიძახის

**უკვე** 6 წელია, კარლო ანჩელოტი „მილანს“ წვრთნის და საკმაოდ წარმატებულადაც, მაგრამ ბოლო დროს მის წასვლაზე უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ.

სახელდებიან „კარლიტოს“ სავარაუდო შემცვლელებიც — ფრანკ რაიკარდი, მარკო ვან ბასტენი, მარჩელო ლიპი... ხოლო თავად ანჩელოტის რამდენიმე კლუბს უკავშირებენ, მათ შორის, „რეალსა“ და ბარსელონას“. თუმცა მან ერთხელაც უარყო „როსონერიდან“ შესაძლო წასვლა და აღნიშნა, მინდა, „მილანის“ სერ ალექს ფერგიუსონი ვიყოო.

მოგეხსენებათ, შოტლანდიელი სპეციალისტი უკვე 20 წელია, „წითელ ეშმაკებს“ უდგას სათავეში.

„ცხოვრებაში ხშირად გიწევს არჩევანის გაკეთება, რაღაცების შეცვლა, გაუმჯობესება... ვთვლი, რომ უკვე მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვარ და ამ მხრივ არაფრის შეცვლა არ მჭირდება. იტალიაში ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს და მიხარია, რომ ისეთ გუნდში ვმუშაობ, რომელშიც მენდობიან და პატივს მცემენ. ეს ყველაფერი დიდ მოტივაციას მაძლევს და სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მინდა, „მილანის“ ფერგიუსონი ვიყო“ — განაცხადა ანჩელოტიმ.

„კარლიტომ“ ჩემპიონთა ლიგაზეც ისაუბრა. როგორც იცით, მეოთხედფინალში „მილანი“ მიუნხენის „ბაიერნს“ ხვდება. ამ წყვილში გამარჯვებული კი „რომა“ — „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის მოგებულს გაეჯიბრება.

— „მანჩესტერი“ ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობს — ამბობს ანჩელოტი — თუმცა „წითელი ეშმაკები“ ფინალში ვერ გავლენ, ოღონდ არ ვიცი, მეოთხედფინალში გავარდებიან თუ ნახევარფინალში. თქმაც არ უნდა, რომ ამ წყვილში „რომას“ ვქომაგობ“.

მილანელთა ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი კი კვლავ უკმაყოფილოა იმით, რომ ფლანგზე ათამაშებენ. ვეტერან ნახევარმცველს ფორვარდების უკან ყოფნა სურს, თუმცა „როსონერის“ თავკაცი მის აზრს არ იზიარებს...

„ერთი გამოკვეთილი ფორვარდით, რომელსაც კაკა ეხმარება ხოლმე, ხშირად გვითამაშია და ეს ტაქტიკა მომწონს. ვიცი, რომ ზეედორფს არ უყვარს ეს სქემა და ფორვარდების უკან სურს თამაში. „მილანში“ დამალული არაფერია და ამ საკითხზე ხშირად გვიკამათია, თუმცა ისიც ვიცი, რომ კლარენსი სხვა პოზიციებზეც არანაკლებ ეფექტურია, თუ უფრო მეტად არა. კაკას კი, რაც მეტი სივრცე აქვს, მით უფრო უკეთ თამაშობს და იგი გამთამაშებლის პოზიციაზე ხელშეუხებელია“ — თქვა კარლო ანჩელოტიმ.

„როსონერის“ თავკაცმა ნელსონ დიდაზეც თქვა: „მან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ძალიან ბევრი, ალბათ ზედმეტად ბევრიც კი გვაწვალა. ცოტა უჩვეულო და უხერხული ვითარებაც შეიქმნა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა. დიდა ბრწყინვალე მეკარეა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ბევრი შეცდომა დაუშვა“.

დაბოლოს, ცნობილმა ექიმმა მარკ მარტენსმა პაოლო მალდინის მუხლის გასინჯვის მერე თქვა, ოპერაცია აუცილებელი არ არისო. თუ ყველაფერი კარგად აეწყო, მალდინი 3 აპრილს „ბაიერნთან“ თამაშსაც შეძლებს.

საბოლოო მომჯობინებასთან ახლოს არიან სერჟინიო და ალესანდრო ნესტაც.

**გიორგი ძაძამაძე**



კარლო ანჩელოტი ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერს“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნას უწინასწარმეტყველებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეპ ბლატერი და უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო

# იტალია ოფსაიდში?

## ბლატერმა ჩემპიონებს ევროპულად აწყენინა

**ფიფას** პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა იტალიური საფეხბურთო სამყარო კიდევ ერთხელ გააღიზიანა. მან თქვა, რომ უკრაინამ და პოლონეთმა ჩინებული სამუშაო გაწიეს და ევრო 2012-ის მასპინძლობას იმსახურებენო.

შევახსენებთ, რომ ევრო 2012-ის მასპინძლობაზე პრეტენზიას იტალია, უკრაინა-პოლონეთი და ხორვატია-უნგრეთი აცხადებენ.

უეფა რჩეულს 18 აპრილს კარდიფში დაასახელებს.

იტალიელები ერთ-ერთი პირველნი არიან, რომლებმაც ევრო 2012-ის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს და ამისთვის ემზადებიან, მაგრამ ბლატერმა მათ ისევ აქცია ზურგი.

2006 წლის მუნდიალზე ავსტრალიასთან მერვედფინალში ათკაციანმა „სკუადრა აძურამ“ ბოლო წუთებზე საეჭვო პენალტით მოიგო. მაშინ ფიფას პრეზიდენტმა განაცხადა, მომდევნო ეტაპზე გასვლა „ოზებს“ ეკუთვნოდათო. მოგებული ფინალის მერე კი ბლატერი იტალიელთათვის მისალოცად მინდორზე არ ჩავიდა. ამას უკმაყოფილო აპენინელთა რამდენიმე მწვავე კომენტარი მოჰყვა და ბლატერმაც მოიბოდიშა, მაგრამ...

„ორივე ქვეყანამ დიდი სამუშაო გაწია. ჩემი აზრით, ევრო 2012-ის მასპინძლობას უკრაინა და პოლონეთი იმსახურებენ“ — აღნიშნა კიევში ვიზიტისას ბლატერმა.

**გიორგი ძაძამაძე**

# აბრამოვიჩის აზრა: ჩელსი არ იყიდება!



**ბრიტანულ** პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ რომან აბრამოვიჩი „ჩელსის“ ყიდის.

ინგლისელი ჟურნალისტების ცნობით, რუსმა მილიარდერმა 1 მილიარდი დოლარი „სოჭი 2014“-ის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად გადაურიცხა საორგანიზაციო კომიტეტს, ახლახან კი რიგით მეორე ცოლს უზარმაზარი თანხის საფასურად გაეყარა...

მოკლედ, ითქვა, აბრამოვიჩის ბიუჯეტში გარღვევაა და ბიზნესმენს კლუბისთვის აღარ სცხელაო...

„სასაცილო სისულელეა. ბატონმა რომანმა არაერთხელ განაცხადა, რომ „ჩელსი“ ხანგრძლივი პროექტია და საქმის შუა გზაში მიტოვებას არ აპირებს. თანაც კლუბის გაყიდვას აზრი არა აქვს, რადგან ეს უმცირესი ნაწილია მისი კაპიტალისა“ — თქვა აბრამოვიჩის პრესმდივანმა ჯონ მენმა.

**ქახა შალამბერიძე**

## მკვდარი ცხენის გაჭენება

**გამორიცხული** არაა, ავსტრალიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა ეროვნულ გუნდში თამაში იუაროს. კაპიტანი მარკ ვიდუკა უკმაყოფილოა იმ გრაფიკით, რომელიც მათი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ შეადგინა. ივნისში ოზები ამხანაგურად შეხვდებიან არგენტინას და ურუგვაის, ივლისში კი აზიის თასი იწყება.

„ფეხბურთელებს დასვენება სჭირდებათ. ივნისში ასეთ ძლიერ მეტოქეებთან თამაში ნამეტანია. ეს მკვდარი ცხენის გაჭენებას დაემსგავსება. კარგია, ასეთი გუნდები რომ ნახეს, მაგრამ დრო არასწორად შეარჩიეს. პრემიერლიგა 14 მაისს მთავრდება, მერე ორ კვირაში კი სანაკრებო მატჩები გველის, რასაც აზიის თასი მოჰყვება. ფაქტობრივად ახალი სეზონის დაწყების წინ დასასვენებლად დრო არ გვრჩება“ — თქვა ვიდუკამ.

**ვაჟა ხუციშვილი**

უეფას თასზე „შახტარი“ — „სევილიას“ დრამატული, დაძაბული, უხვგოლიანი და თვალსასეირო მატჩის ერთ-ერთი მთავარი გმირი ესპანელთა მეკარე ანდრეას პალოპი გახდა. მან მსაჯის მიერ მეოთხე წამატებულ წუთზე თავურით დარტყმით იყოჩალა და შეხვედრა დამატებით დროში გადაიყვანა, სადაც მისმა გუნდმა ხავიერ ჩევანტონის გოლით საბოლოოდ იმარჯვა...



# 94-ე წუთი: პასი პალოპს და...
## სევილია სხვა კარმა გადაარჩინა

— უკვე დამატებული წუთებიც იწურებოდა — გჯეროდათ, რომ ანგარიშს გაათანაბრებდით?

— არა.

— როგორ მოახერხეთ ამ პატარა სასწაულის მოხდენა?

— უპირატესობას კი ვფლობდით და მომენტებსაც ვქმნიდით, მაგრამ ბურთი „შახტარის“ კარში არ შედიოდა. ის კუთხური ჩვენი ბოლო შანსი იყო და მეც მეტოქის საჯარიმოში ჩავედი, რათა მცველებიც დამებნია და რიცხობრივად ნაკლებნიც არ ვყოფილიყავით. უკრაინელები, ფაქტობრივად, ყურადღებას არ მაქცევდნენ და მინდვრის მოთამაშეებზე იყვნენ კონცენტრირებულნი — ბურთი კი ჩემკენ წამოვიდა და ისლა დამრჩენოდა, ზუსტად დამერტყა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ მოხდებოდა.

— მსგავსი რამ ადრე ჩაგიდენიათ?

— არა, ასეთი მაღალი რანგის მატჩებში ეს ჩემი პირველი გოლია.

— რა იგრძენით იმ მომენტში?

— ძალიან გამიხარდა. თავიდან ვერც დავიჯერე, რომ ბურთი ბადეში იყო...

— „შახტარზე“ რას იტყვით?

— ორივე მატჩი ძალიან რთული იყო. მიხარია, რომ ასეთი ძლიერი მეტოქის ძლევა შევძელით. „შახტარი“ მაღალი დონის კლუბია, რაც იმითაც დაამტკიცა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა. დონეცკელებს კარგი მწვრთნელი და ჩინებული შემსრულებლები ჰყავთ.

— წარმოიდგენდით, რომ მატჩი ასეთი სცენარით წარიმართებოდა?

— რასაკვირველია, ვერა. პირველი შეხვედრის შედეგი (2:2) მეტოქეს საგრძნობ უპირატესობას აძლევდა, ჩვენ კი ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვგრძნობდით. იძულებულნი ვიყავით, დონეცკში მოგება დაგვეგეგმა, მაგრამ როცა ანგარიში 2:1 გახდა, დრო ცოტა რჩებოდა და გამოსავალიც ერთადერთი იყო — სულ მცირე, ერთი გოლი გაგვეტანა, რათა დამატებითი დრო დანიშნულიყო. ამიტომ ბოლო წუთებში თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმოდა, რომ ასი პროცენტით უნდა დახარჯულიყო.

— ცოტა ხნის წინ თქვით, რომ „სევილიასთვის“ პრიმერადივიზიონის მოგება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ზედიზედ მეორედ უეფას თასის მოპოვება. ფაქტი კია, ორივე ფრონტზე აგრძელებთ ბრძოლას...

— არასოდეს არ იცი, რა იქნება თუნდაც ახლო მომავალში. უბრალოდ, მე ის ვთქვი, რომ პრიმერადივიზიონი ჩვენთვის პრიორიტეტულია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უეფას თასზე ნაკლები ყურადღებით ვითამაშებთ. ერთი ტურნირის გაწირვა ნამდვილად არ გაძლევს იმის გარანტიას, რომ მეორეს აუცილებლად მოიგებ.

# ვინ მოშარდა ჩუმად?
## კანს და ლუსიოს უეფა გაარკვევს

**როგორც** მიუნხენის „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერისგან ული ჰიონესისგან გახდა ცნობილი, 7 მარტს, მისი გუნდისა და მადრიდის „რეალის“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩის წინ ოლივერ კანს, ლუსიოსა და უეფას ექიმს შორის დაძაბული საუბარი გაიმართა.

პარასკევს უეფამ „ბაიერნის“ ნახსენები ორი ფეხბურთელის წინააღმდეგ ძიება წამოიწყო. ევროპული ფეხბურთის შეფები კანსა და ლუსიოს დოპინგ-ტესტირების დროს არასწორ ქცევაში სდებენ ბრალს, თუმცა, მოდით, ჰიონესს მოვუსმინოთ:

„მართალია, ექიმი, რომელიც ტესტირებას ატარებდა, ფეხბურთელების ქცევით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ოლივერ კანმა და ლუსიომ საანალიზე შარდი რომ ჩააბარეს, ამის უარყოფაც არ შეიძლება. უბრალოდ, ექიმი ჩივის, რომ იგი მოშარდვის პროცესს თავად არ დასწრებია. მასსა და ფეხბურთელებს შორის ხმამაღალი ლაპარაკიც სწორედ ამის გამო მოხდა“.

უეფას სადისციპლინო კომიტეტი საკითხს 22 მარტს გაარკვევს.

**ბაჩუნა ძიდია**

# რომარიო: დარჩა ორი



**რომარიომ** წლეულს მესამე ჰეთ თრიქი შეასრულა და გოლების რაოდენობა 998-მდე გაზარდა.

კარიოკას ჩემპიონატის მატჩში „ბოავიშტას“ წინააღმდეგ 41 წლის ფორვარდმა მეორე ტაიმში ითამაშა და ოცწუთიან მონაკვეთში სამჯერ შეაგდო. მისმა „ვასკუ და გამამ“ კი 6:2 მოიგო.

„რამდენიმე წლის წინ ამბობდნენ, რომ ჩემი კარიერა დასრულებულია, მაგრამ, როგორც ხედავთ, ასე არ მოხდა. 1000-მდე ორი გოლი მაკლდა და ამას მალე შევასრულებ“ — თქვა გაჭაღარავებულმა რომარიომ, რომელსაც ათასგოლიანობით პელეს შედეგის გამეორება ამოუჭრია გულში.

**გაჟა ხუციშვილი**

## დანია

### სუპერლიგა. XX ტური

ვაილე — სილკებორგი 0:2; ოლბორგი — ჰორსენსი 4:0; ესბიერგი — ოდენსე 1:2; კოპენჰაგენი — ნორდსიელანდი 1:1; რანდერსი — მიდტიულანდი 0:0; ვიბორგი — ბრონდბიუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 20 | 13 | 6 | 1 | 36:13 | 45 |
| მიდტიულანდი | 20 | 11 | 6 | 3 | 38:22 | 39 |
| ოდენსე | 20 | 11 | 5 | 4 | 27:18 | 38 |
| ოლბორგი | 20 | 10 | 4 | 6 | 27:19 | 34 |
| ნორდსიელანდი | 20 | 9 | 4 | 7 | 36:23 | 31 |
| ბრონდბიუ | 20 | 7 | 7 | 6 | 27:22 | 28 |
| ესბიერგი | 20 | 7 | 6 | 7 | 32:31 | 27 |
| რანდერსი | 20 | 7 | 5 | 8 | 26:27 | 26 |
| ვიბორგი | 20 | 6 | 4 | 10 | 21:36 | 22 |
| ჰორსენსი | 20 | 4 | 7 | 9 | 14:28 | 19 |
| სილკებორგი | 20 | 3 | 2 | 15 | 18:38 | 11 |
| ვაილე | 20 | 2 | 4 | 14 | 21:46 | 10 |

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. XXVI ტური

ეგალეო — ოფი 1:2; იონიკოსი — პაოკ 0:2; ერგოტელისი — კალამარია 0:1; ქსანთი — პანიონიოსი 1:1; ირაკლისი — ლარისა 1:0; კერკირა — აეკ 0:1; ოლიმპიაკოსი — არისი 0:0; პანათინაიკოსი — ატრომიტოსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 26 | 20 | 3 | 3 | 53:18 | 63 |
| აეკ | 26 | 16 | 7 | 3 | 49:21 | 55 |
| პანათინაიკოსი | 26 | 16 | 3 | 7 | 43:23 | 51 |
| პაოკ | 26 | 11 | 6 | 9 | 28:24 | 39 |
| არისი | 26 | 8 | 13 | 5 | 25:22 | 37 |
| პანიონიოსი | 26 | 9 | 9 | 8 | 25:26 | 36 |
| ოფი | 26 | 10 | 6 | 10 | 35:38 | 36 |
| ატრომიტოსი | 26 | 8 | 10 | 8 | 36:40 | 34 |
| ერგოტელისი | 26 | 9 | 6 | 11 | 24:25 | 33 |
| ქსანთი | 26 | 7 | 11 | 8 | 19:18 | 32 |
| ლარისა | 26 | 8 | 7 | 11 | 27:34 | 31 |
| კალამარია | 26 | 8 | 7 | 11 | 22:30 | 31 |
| კერკირა | 26 | 7 | 9 | 10 | 26:30 | 30 |
| ეგალეო | 26 | 7 | 6 | 13 | 24:35 | 27 |
| ირაკლისი | 26 | 7 | 4 | 15 | 21:33 | 25 |
| იონიკოსი | 26 | 2 | 3 | 21 | 9:49 | 7 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 2 ქულა*

## რუსეთი

### პრემიერლიგა. II ტური

**ხიმკი 1:0 კუბანი**

1:0 ტიხონოვი (62)

**მოსკოვი 2:0 ტომი**

1:0, 2:0 ადამოვი (6, 29)

**ნალჩიკი 0:0 კრილია**

**ლოკომოტივი 2:1 რუბინი**

1:0 როდოლფო (21), 1:1 გილმულინი (33), 2:1 კორჩაგინი (48)

**დინამო 1:1 ცსკა**

0:1 ვაგნერ ლავი (61), 1:1 პიმენოვი (86)

**როსტოვი 2:3 ზენიტი**

0:1 ზირიანოვი (9), 0:2 ტიმოშჩუკი (40), 0:3 არშავინი (60), 1:3 პიანოვიჩი (62), 2:3 კანიენდა (82)

**სატურნი 0:1 ლუჩ-ენერგია**

0:1 ბ. აჯინჯალი (66პ)

**სპარტაკი 0:0 ამკარი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკვა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ამკარი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ზენიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კრილია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ტომი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლუჩ-ენერგია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ხიმკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სატურნი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კუბანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ნალჩიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| როსტოვი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| რუბინი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

## სლოვაკეთი

### I ლიგა. პლეი ოფი. III ტური

სენეცი — რუჟომბეროკი 0:4; ბანსკა ბისტრიცა — ნიტრა 1:0; კოშიცე — სლოვანი 0:0; არტმედია — ჟილინა 1:1

## სლოვენია

### პირველი ლიგა. XXIII ტური

ფაქტორი — დრავა 2:0; ნაფტა — ბელა კრაინა 1:2; კოპერი — დომჟალე 1:1; პრიმორიე — პუბლიკუმი 2:3; მარიბორი — ნოვა გორიცა 3:2

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. XVIII ტური

ლოძი — ვიძევი 0:0; არკა — პოგონი 2:0; [illegible] — [illegible] 2:4; გურნიკი — ლეჩნა 2:3; გროცლინი — ოდრა 1:1; პლოცკი — ვისლა 0:0; ლეხი — კორონა 3:0; ბელხატოვი — ლეგია 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 18 | 12 | 3 | 3 | 43:18 | 39 |
| ზაგლებიე | 18 | 10 | 6 | 2 | 27:17 | 36 |
| კორონა | 18 | 10 | 3 | 5 | 26:18 | 33 |
| ლოძი | 18 | 8 | 7 | 3 | 21:15 | 31 |
| ვისლა | 18 | 7 | 9 | 2 | 32:15 | 30 |
| ლეგია | 18 | 8 | 4 | 6 | 30:20 | 28 |
| ლეხი | 18 | 6 | 7 | 5 | 33:24 | 25 |
| კრაკოვია | 18 | 7 | 4 | 7 | 23:29 | 25 |
| გროცლინი | 18 | 4 | 12 | 2 | 19:16 | 24 |
| არკა | 18 | 4 | 10 | 4 | 22:19 | 22 |
| ვიძევი | 18 | 4 | 5 | 9 | 16:24 | 17 |
| ლეჩნა | 18 | 4 | 5 | 9 | 12:35 | 17 |
| გურნიკი | 18 | 4 | 4 | 10 | 20:31 | 16 |
| პოგონი | 18 | 3 | 6 | 9 | 14:22 | 15 |
| ოდრა | 18 | 2 | 7 | 9 | 14:29 | 13 |
| პლოცკი | 18 | 1 | 8 | 9 | 12:32 | 11 |

## რუმინეთი

### I ლიგა. XXIII ტური

პანდურიი — ოცელული 2:1; ჩაპლაული — ფარული 0:0; პეტროლსანი — კლუჟი 0:2; ვასლუი — რაპიდი 1:1; ტიმოშოარა — პოლიტეხნიკა 0:1; სტიაუა — არჯეში 2:0; არადი — დინამო 1:1; უნივერსიტატია — გლორია 1:2; ნაციონალი — უნირია 0:2

## სერბეთი

### სუპერლიგა XXI ტური

ბანატი — ზემუნი 2:1; მლადოსტი — ვოზდოვაცი 1:0; ოფკ — ცრვენა ზვეზდა 0:1; ვოივოდინა — სარტიდი 1:0; ბეჟანიჯა — ბორაცი 0:0; პარტიზანი — ჰაიდუკი 0:1

## იაპონია

### ჯეი ლიგა. III ტური

ოიტა — ომია 3:1; ურავა — კოფუ 2:0; შიმიცუ — კაშივა 0:1; იჩიჰარა — კაშიმა 3:3; იოკოჰამა — კობე 1:4; გამბა — ჰიროშიმა 3:0; კავაზაკი — ფკ იოკოჰამა 6:0; ნაგოია — ნიიგატა 2:0; ტოკიო — ივატა 0:1

## ირლანდია

### პრემიერლიგა II ტური

ბრეი — ბოჰემიანსი 1:0; დროჰედა — დუბლინი 3:2; სენტ პატრიკსი — უოტერფორდი 3:0; კორკი — გალვეი 0:0; შემროკი — ლონგფორდი 2:0; სლიგო — დერი 0:2

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XIX ტური

დნიპრო — ტავრია 2:0; დინამო — ზარია 4:0; სტალი — ვორსკლა 0:1; ჩერნომორეცი — კრივბასი 2:3; მეტალურგი (ზ) — არსენალი 2:1; ხარკოვი — ილიჩოვეცი 2:0. შახტარი — მეტალურგი (დ) დღეს გაიმართება, კარპატი — მეტალისტი გადაიდო

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XXV ტური

აუსტრია — რიდი 2:1; მატერსბურგი — ალტახი 2:1; პაშინგი — რაპიდი 0:1; ზალცბურგი — ტიროლი 3:0; გრაცერი — შტურმი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 25 | 16 | 6 | 3 | 51:14 | 54 |
| მატერსბურგი | 25 | 11 | 5 | 9 | 34:39 | 38 |
| პაშინგი | 25 | 9 | 8 | 8 | 27:25 | 35 |
| რიდი | 25 | 7 | 11 | 7 | 28:26 | 32 |
| რაპიდი | 25 | 8 | 8 | 9 | 32:34 | 32 |
| აუსტრია | 25 | 7 | 10 | 8 | 28:29 | 31 |
| ტიროლი | 25 | 7 | 9 | 9 | 26:35 | 30 |
| შტურმი | 25 | 9 | 5 | 11 | 26:30 | 29 |
| გრაცერი | 25 | 6 | 9 | 10 | 31:40 | 27 |
| ალტახი | 25 | 8 | 3 | 14 | 34:45 | 27 |

*შტურმს დაკლებული აქვს 3 ქულა*

### I დივიზიონი. XXI ტური

ადმირა — გრატკორნი 1:1; ლუსტენაუ — აუსტრია (მ) 0:2; ჰარტბერგი — პარნდორფი 1:0; კაპფენბერგი — ლინცერი 2:2; კერნტენი — აუსტრია (ლ) 2:1; შვანენშტადტი — ლეობენი 3:0

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### XXVI ტური

**შალკე 1:0 შტუტგარტი**
1:0 კრსტაიჩი (76)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი, კობიაშვილი (ლარსენი 71), ჰალილ ალტინტოპი (ასამოა 76), იოზილი, კურანი (დ. როდრიგესი 90)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ოსორიო (ლაუტი 81), ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი, ჰიცლშპერგერი (ხედირა 83), ა. ფარნერუდი (და სილვა 62), შტრელერი, კაკაუ
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: კობიაშვილი, ჰიცლშპერგერი, პარდო
მსაჯი: ფლაიშერი
61 482 მაყურებელი

**ვერდერი 2:0 მაინცი**
1:0 ვრანიეში (60), 2:0 დიეგო (90)
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე, ვრანიეში, ფრინგსი, დ. იენსენი, დიეგო, კლოზე, უგო ალმეიდა (როზენბერგი 61)
მწვრთნელი: თომას შააფი
მაინცი: ვახე, დემირტასი (საბიჩი 84), მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი, ლ. ანდრეასენი, აზაუაგი, ფ. გერბერი, ფიულნერი (ნიკულაე 71), ზიდანი, რუმანი (იოვანოვიჩი 71)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: დიეგო, ანდრეასენი, ფრიცი, რუმანი, ფიულნერი, იოვანოვიჩი
მსაჯი: კინჰოფერი
39 450 მაყურებელი

**აინტრახტი 1:0 ბაიერნი**
1:0 პროისი (78)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ვასოსკი, კრისი (რუსი 65), კირიაკოსი, პ. ოხსი, მ. ფინკი, შპიხერი, პროისი, კიოლერი, ტაკაჰარა, ტურკი (ამანატიდისი 72)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი (გიორლიცი 72), ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (შოლი 83), მაკაი, პოდოლსკი (კ. პიზარო 68)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ტურკი, ვან ბომელი, სანიოლი, პიზარო
მსაჯი: ვაინერი
უმაყურებლოდ

**ლევერკუზენი 1:0 გლადბახი**
1:0 ვორონინი (90)
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, ჰაგუი, ჟუანი, ბაბიჩი, როლფესი, ბარბარესი, კისლინგი, ბ. შნაიდერი, ბარნეტა (ფრაიერი 69), ვორონინი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გლადბახი: კელერი, ბოგელუნდი, გოჰური, ზე ანტონიო, იანსენი, კლუგე (კაჰე 90), ელ ფაკირი, დ. დეგენი (ტიგესენი 80), დელურა (სვარდი 46), რაფაელი, ინსუა
მწვრთნელი: იოს ლუჰუკაი
გაფრთხილება: ბარბარესი, ინსუა, კასტრო, ბაბიჩი, ჰაგუი, ვორონინი
მსაჯი: შტარკი
22 500 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:0 ჰამბურგი**
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ფარენჰორსტი, ზურავი, ვინისიუსი, ლალა, ბალიტჩი, როზენტალი (ბრუგინკი 88), შტაინერი (ჰაშემიანი 84), ჰუშტი, ტორვალდსონი (შრიოტერი 59)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
ჰამბურგი: ფ. როსტი, ბენჯამინი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, მაჰდავიკია, იაროლიმი, ვიკი (დე იონგი 73), ლაასი (ტროხოვსკი 70), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი (სანოგო 82)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ლალა, ვიკი, ატუბა, იაროლიმი, ბენჯამინი, დე იონგი
მსაჯი: შიპელი
49 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:0 ნიურნბერგი**
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ფ. დეგენი, ვიორნსი, კ. მეცელდერი (ბრჟენსკა 11), დედე, ტინგა, კელი (კრუშკა 54), ჰიენაარი (ნ. ვალდესი 76), კრინგე, ფრაი, შმოლარეკი
მწვრთნელი: თომას დოლი
ნიურნბერგი: რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, ბუჩამპი (გრეშკო 77), პინოლა, გალაშეკი, პოლაკი, ენგელჰარდტი, ვიტეკი, შროტი (პაგენბურგი 70), საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ტინგა, პინოლა, კრუშკა, ვიტეკი, ბრჟენსკა, ვოლფი
მსაჯი: კირხერი
80 100 მაყურებელი

**ჰერტა 0:1 კოტბუსი**
0:1 რადუ (47)
ჰერტა: ფიდლერი, ჯ. ბოატენგი (დეჯაგა 77), ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი (ბაშთურქი 63), დარდაი, ებერტი, კ. ბოატენგი (ნოინდორფი 90), ჟილბერტო, პანტელიჩი, კ. ხიმენესი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
კოტბუსი: ტრემელი, შელესი, მაკკენა, კუკიელკა, ცვიტანოვიჩი, და სილვა (გუნკელი 63), ტ. როსტი, ბაუმგარტი (შაო 74), მუნტიანუ, რადუ (რივიჩი 84), კიოიო
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
გაფრთხილება: ფატი, ბაუმგარტი, შიმუნიჩი, ცვიტანოვიჩი, კუკიელკა, რადუ
მსაჯი: დრეესი
51 831 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:1 ბოხუმი**
1:0 ბოაკიე (21), 2:0 მადლუნგი (26), 2:1 გეკასი (66), 3:1 მარსელინიო (83)
ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა, მადლუნგი, ჰოფლანდი, ვან დერ ჰიდენი, ვან დერ ლეიგტე, მაკიადი (კ. ჰილი 87), კრჟინოვეკი, მარსელინიო, ბოაკიე (შარპეი 70), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ბოხუმი: დრობნი, ო. შრიოდერი, დრშეკი, იაია, მაიხელბეკი, ცდებელი, ილიჩევიჩი (ვან ჰუტი 69), მისიმოვიჩი (ფაბიო ჟუნიორი 82), გროტე (ტროიანი 46), ეპალე, გეკასი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: მარსელინიო, ეპალე, კიროგა, დრშეკი
მსაჯი: მერკი
15 743 მაყურებელი

**ალემანია 2:0 არმინია**
1:0 შლაუდრაფი (70), 2:0 რეგეკამპფი (76პ)
ალემანია: შტრაუბი, შტელე, ნ. ჰერციგი, სიხონე, ლეიფაკაბესი, მ. ლემანი, ს. პინტო (კასპერი 80), რეგეკამპფი (ფაიდრიხი 87), როსლერი, იბიშევიჩი, შლაუდრაფი (იუნგლასი 90)
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ბორგესი, ბოლმანი, შულერი, კაუფი (ტ. მარქსი 77), ვესტერმანი, კამპერი, ბიომე (მასმანიდისი 64), ზუმა (აიგლერი 64), ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
გაფრთხილება: პინტო, ბიომე, შულერი, ბორგესი, ბოლმანი
მსაჯი: ფანდელი
20 800 მაყურებელი



ნიურნბერგულ-სლოვაკური შლაგბაუმი — ვრატისლავ გრეშკომ და რობერტ ვიტეკმა დორტმუნდელი დედე არ გაატარეს

AFP

# მირკო სლომკა: ვითამაშოთ ცუდად, ოღონდ მოვიგოთ



მლადენ კრსტაიჩი და მირკო სლომკა

AFP

„შალკემ" ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია „შტუტგარტთან" შეწყვიტა და ერთ-ერთი მდევარი პრინციპულ შეხვედრაში დაამარცხა.

მწირმომენტიანი თამაში ფრისკენ მიდიოდა, რომ არა სტუმართა მეკარე ტიმო ჰილდებრანდის შეცდომა, რომელსაც კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ხელიდან გაუვარდა და მლადენ კრსტაიჩმა ორიოდ მეტრიდან გაიტანა. იმდენად დიდი იყო სიხარული, რომ კრსტაიჩი და მწვრთნელი მირკო სლომკა მოედნის კიდესთან ბავშვებივით ხტუნაობდნენ.

„ეს არ იყო ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, მაგრამ წინა ოთხ შეხვედრაში კარგად თამაშის მიუხედავად, ვერც ერთი ვერ მოვიგეთ. ახლა კი მივიღეთ ის, რაც ძალიან გვჭირდებოდა — სამი ქულა" — განაცხადა სლომკამ.

კრსტაიჩის გოლამდე რობერტო ჰილბერტის დარტყმული მოხვდა „შალკეს" კარის ძელს, შემდეგ კი ნოიერმა ორჯერ „იფრინა" მარცხნივ-მარჯვნივ და სასწაულებრივ იხსნა გუნდი.

ფრანკფურტის „აინტრახტიც" დაეხმარა „შალკეს" „ბაიერნის" ძლევით.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტმა ვერ გაახარა ოტმარ ჰიცფელდი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ კონტრაქტი გაახანგრძლივა. მიუნხენური კლუბი უკვე ცხრა ქულით ჩამორჩება „ხუმარებს" და საჩემპიონო შანსი შეუმცირდა.

„აინტრახტს" 1990 წლის შემდეგ არ მოუგია „ბაიერნისთვის" და ამჯერად ეს კრისტოფ პროისის კოხტა გოლით მოახერხა — ბურთი ოლივერ კანის ზურგს უკან ჩაეშვა.

მასპინძელთა დაცვამ კარგად ითამაშა, ხოლო „ბაიერნს" შეტევაში არაფერი გამოსდიოდა. სწორედ ეს აღნიშნა ოტმარ ჰიცფელდმაც: „ეს მარცხი კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენთვის. ზუსტ პასს ვერ ვაკეთებდით და ამით მეტოქეს საქმე გავუიოლეთ".

პირველთან შედარებით მეორე წრეში უკეთ თამაშობს „ვოლფსბურგი" და „ბოხუმთან" მოგებით კიდევ უფრო დაუსხლტა სახიფათო ზონას.

ისააკ ბოაკიემ ლამაზად გათამაშებული კომბინაცია ათიოდ მეტრიდან დარტყმით და გოლით დაასრულა, ოთხი წუთის შემდეგ კი მარსელინიომ კუთხური ჩააწოდა და მადლუნგმა თავურით სხვაობა ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში „ბოხუმიც" გამოცოცხლდა, როცა თეოფანის გეკასმა ერთი გაქვითა — სტუმრებს ქულის გადარჩენის შანსი გაუჩნდათ, მაგრამ თამაშის ბოლოს ისინი მასპინძელმა მარსელინიომ მესამე გოლით დააწყნარა.

ბილეფელდის „არმინიას" ახალმა მწვრთნელმა ერნსტ მიდენდორპმა სადებიუტო მატჩში „ალემანიასგან" მარცხი იწვნია. სტუმრებმა საათზე მეტხანს გაუძლეს მასპინძელთა შეტევებს, მაგრამ შემდეგ ხუთწუთიან მონაკვეთში ორი გაუშვეს. რეგეკამპფის შესრულებულ საჯარიმოს იან შლაუდრაფის გოლი მოჰყვა, მერე კი რეგეკამპფმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა.

„დორტმუნდში" იურგენ რიობერის შემცვლელმა თომას დოლმა სადებიუტო შეხვედრაში ქულა აიღო „ნიურნბერგთან", თუმც მისი გუნდი კვლავ ბოლოდან მეოთხე ადგილზეა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 26 | 16 | 5 | 5 | 42:25 | 53 |
| ვერდერი | 26 | 15 | 5 | 6 | 61:33 | 50 |
| შტუტგარტი | 26 | 13 | 7 | 6 | 43:30 | 46 |
| ბაიერნი | 26 | 13 | 5 | 8 | 39:31 | 44 |
| ლევერკუზენი | 26 | 11 | 6 | 9 | 40:36 | 39 |
| ნიურნბერგი | 26 | 8 | 14 | 4 | 36:24 | 38 |
| ჰანოვერი | 26 | 9 | 8 | 9 | 33:37 | 35 |
| ჰერტა | 26 | 9 | 7 | 10 | 36:42 | 34 |
| ალემანია | 26 | 9 | 6 | 11 | 41:45 | 33 |
| ვოლფსბურგი | 26 | 7 | 11 | 8 | 27:29 | 32 |
| კოტბუსი | 26 | 8 | 7 | 11 | 29:36 | 31 |
| აინტრახტი | 26 | 6 | 12 | 8 | 33:44 | 30 |
| მაინცი | 26 | 7 | 9 | 10 | 23:37 | 30 |
| ჰამბურგი | 26 | 5 | 14 | 7 | 29:27 | 29 |
| დორტმუნდი | 26 | 7 | 8 | 11 | 29:37 | 29 |
| ბოხუმი | 26 | 7 | 6 | 13 | 30:42 | 27 |
| არმინია | 26 | 6 | 8 | 12 | 31:36 | 26 |
| გლადბახი | 26 | 6 | 6 | 14 | 21:32 | 24 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გომესი (შტუტგარტი) | 13 |
| გეკასი (ბოხუმი) | 13 |
| მაკაი (ბაიერნი) | 12 |
| კლოზე (ვერდერი) | 11 |
| კურანი (შალკე) | 11 |
| ფრაი (დორტმუნდი) | 11 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 11 |

### XXVII ტური
31 მარტი

| | | |
|---|---|---|
| არმინია | : | დორტმუნდი |
| ბოხუმი | : | ჰანოვერი |
| გლადბახი | : | აინტრახტი |
| ჰამბურგი | : | ვოლფსბურგი |
| შტუტგარტი | : | ალემანია |
| კოტბუსი | : | ვერდერი |
| ბაიერნი | : | შალკე |
| მაინცი | : | ლევერკუზენი |
| ნიურნბერგი | : | ჰერტა |

## მეორე ბუნდესლიგა
### XXVI ტური

კარლსრუე — ესენი 1:3; კობლენცი — კარლ ცაისი 0:0; მიუნხენი — აუგსბურგი 0:3; დუისბურგი — ბურგჰაუზენი 3:4; აუე — ოფენბახი 2:1; ფრაიბურგი — კაიზერსლაუტერნი 4:1; ფიურტი — ბრაუნშვაიგი 3:0; უნტერჰახინგი — პადერბორნი 0:3. ჰანზა — კიოლნი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 26 | 16 | 6 | 4 | 56:30 | 54 |
| ჰანზა | 25 | 12 | 11 | 2 | 37:20 | 47 |
| დუისბურგი | 26 | 11 | 10 | 5 | 47:33 | 43 |
| ლაუტერნი | 26 | 11 | 10 | 5 | 35:24 | 43 |
| ფიურტი | 26 | 12 | 6 | 8 | 42:29 | 42 |
| ფრაიბურგი | 26 | 11 | 9 | 6 | 39:33 | 42 |
| აუე | 26 | 13 | 3 | 10 | 40:35 | 42 |
| აუგსბურგი | 26 | 10 | 9 | 7 | 31:23 | 39 |
| მიუნხენი | 26 | 10 | 5 | 11 | 35:39 | 35 |
| კიოლნი | 25 | 9 | 7 | 9 | 36:35 | 34 |
| პადერბორნი | 26 | 8 | 9 | 9 | 25:26 | 33 |
| კობლენცი | 26 | 8 | 8 | 10 | 27:33 | 32 |
| ოფენბახი | 26 | 8 | 6 | 12 | 33:41 | 30 |
| კარლ ცაისი | 26 | 6 | 8 | 12 | 27:44 | 26 |
| ესენი | 26 | 6 | 7 | 13 | 29:33 | 25 |
| უნტერჰახინგი | 26 | 6 | 7 | 13 | 24:36 | 25 |
| ბურგჰაუზენი | 26 | 5 | 8 | 13 | 29:52 | 23 |
| ბრაუნშვაიგი | 26 | 3 | 7 | 16 | 12:38 | 16 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### XXV ტური

ზანკტ პაული — ვილჰელმშავენი 2:0; ალენი — ლიუბეკი 1:3; დიუსელდორფი — ვუპერტალი 1:3; ჰამბურგი (მ) — უნიონი 0:0; კილი — ჰერტა (მ) 1:0; ემდენი — ლევერკუზენი (მ) 3:1; მიონხენგლადბახი (მ) — ვერდერი (მ) 2:3; ოსნაბრიუკი — დორტმუნდი (მ) 1:1; ერფურტი — მაგდებურგი 2:2

## სამხრეთ რეგიონალლიგა
### XXIV ტური

როიტლინგენი — ზიგენი 2:0; ელვერსბერგი — კარლსრუე (მ) 1:0; ჰოფენჰაიმი — კაიზერსლაუტერნი (მ) 2:0; მიუნხენი (მ) — ინგოლშტადტი 1:1; ჰესენი — შტუტგარტი (მ) 1:3; პირმასენსი — ზაარბრიუკენი 1:0; კიკერსი — ჰფულენდორფი 1:2; აალენი — ბაიერნი (მ) 2:1; ვეჰენი — დარმშტადტი 3:1

# იტალია
## სერია A
## XXIX ტური

### მილანი 1:0 ატალანტა

1:0 ამბროზინი (40)
მილანი: დიდა, ოდო, შიმიჩი, ბონერა, იანკულოვსკი, გატუზო, ამბროზინი, ბროკი (ფავალი 77), კაკა, რონალდო (ჯილარდინო 81), რ. ოლივეირა (ზეედორფი 72)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ატალანტა: კალდერონი, რივალტა (არიატი 85), ტალამონტი, ლორია, ბელინი, ბერნარდინი, დონატი (კ. სისე 75), მილიაჩო, ფერეირა პინტუ (ტისონე 59), დეფენდი, კ. დონი
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: ბერნარდინი, მილიაჩო, ამბროზინი, ბონერა, დონი
მსაჯი: საკანი
55 000 მაყურებელი

### ასკოლი 1:2 ინტერი

0:1, 0:2 იბრაჰიმოვიჩი (65, 73), 1:2 ბონანი (90პ)
ასკოლი: ელეფთეროპულოსი, ნასტაზე, კორალო, ლომბარდი, ვასტოლა (პერული 68), ფოლიო, ბუდიანსკი, პესკე (ბონანი 77), ფინი, პაოლუჩი (მელარა 60), ბიელანოვიჩი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, სამუელი, მაქსველი (კრესპო 64), ბურდისო, ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, ფიგუ, იბრაჰიმოვიჩი (სოლარი 76), კრუზი (ადრიანო 52)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კორალო, ძანეტი, მაიკონი, ფოლიო, იბრაჰიმოვიჩი, ლომბარდი, ნასტაზე, სტანკოვიჩი, სამუელი
მსაჯი: როზეტი
5 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 0:0 რომა

ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, პაზიენცა, ლივერანი (პოტენცა 37), მონტოლივო, იორგენსენი (ბლაზი 36), ტონი (რეგინალდო 84), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
რომა: ა. დონი, პანუჩი, მ. ფერარი, მექსეში, ტონეტი, დე როსი, დ. პიზარო, ტადეი (ვილჰელმსონი 76), პეროტა (ვუჩინიჩი 81), მანსინი (ტავანო 71), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: დაინელი, მექსეში, დაინელი, მუტუ, დე როსი
გაძევება: დაინელი (33)
მსაჯი: პაპარესტა
30 000 მაყურებელი

### ლაციო 3:1 ემპოლი

1:0 პანდევი (8), 2:0 როკი (27), 3:0 მანფრედინი (74), 3:1 ალმირონი (90)
ლაციო: პერუცი (ბალოტა 80), ბეჰრამი, სტენდარდო, სივილია, ძაური, მუდინგაი, ლედესმა, კ. მანფრედინი, მაური (ბელერი 76), პანდევი, როკი (მაკინვა 66)
მწვრთნელი: დელიო როსი
ემპოლი: ბალი, რაჯი, ვანილი (ედერი 65), ლუკინი, ტოსტო, ბუშე, ალმირონი, დ. მორო, ვანუკი, მატეინი (პოცი 46), საუდატი (ფიჩინი 80)
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: მუდინგაი, მორო, ალმირონი
მსაჯი: ჯანოჩარო
45 000 მაყურებელი

### სამპდორია 1:1 პალერმო

0:1 კავანი (53), 1:1 კალიარელა (56)
სამპდორია: ბერტი, მაჯო, ფალკონე, აკარდი, პიერი, ჯ. დელვეკიო (ციგლერი 73), პალომბო, პაროლა, დ. ფრანჩესკინი (სალა 46), კალიარელა (ბას‥რინი 81), ბონაცოლი
მწვრთხ‥ლ: ვალტერ ნოველინო
პალერმო: ალიარდი, კასანი, ბარძალი, ბიავა, დიანა, სიმპლისიო, გუანა, ჯოვანი ტედესკო (ბრეშიანო 78), მ. პიზანო, კავანი, დი მიკელე
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: დი მიკელე, ბონაცოლი, გუანა
გაძევება: ფალკონე (36)
მსაჯი: მორგანტი
22 000 მაყურებელი

### უდინეზე 4:0 ლივორნო

1:0 დი ნატალე (34), 2:0 გიანი (37), 3:0 დი ნატალე (69), 4:0 ბარეტო (83პ)
უდინეზე: დე სანქტისი, საპატა, კოდა, ზაპოტოჩნი, დოსენა, მუნტარი, გ. დაგოსტინო, შივოკი (დე მარტინო 73), პინცი, დი ნატალე (პ. ბარეტო 79), გიანი (სიკეირა 86)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ლივორნო: ამელია, გალანტე, რეზაეი, გრანდონი, ა. ფილიპინი, კ. კოპოლა (ვიდიგალი 55), პასონი, მორონე, ბალერი (პფერცელი 75), ფიორე, კ. ლუკარელი (პაულინიუ 72)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: პინცი, დაგოსტინო, ზაპოტოჩნი, პფერცელი, რეზაეი
მსაჯი: ჩელი
15 000 მაყურებელი

### კატანია 1:4 რეჯინა

0:1 ამორუზო (58), 0:2 ფოჯა (62), 0:3 ბიანკი (85პ), 0:4 ქატეცქი (88), 1:4 როსინი (90)
კატანია: პანტანელი, კ. სილვესტრი (სარდო 77), სოტილი, სტოვინი, ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი, კაზერტა, ჯ. კოლუჩი (მილეზი 13), სპინეზი, კორონა (როსინი 65)
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
რეჯინა: პუგიონი, ნარდინი, ჯიოზა (დი დიო 11), არონიკა, მესტო, ამერინი, ტონიცა, მოდესტო, ფოჯა (მისიროლი 78), ნ. ამორუზო (ქატეცქი 87), ბიანკი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: მესტო, ფოჯა, ბაიოკო, როსინი
მსაჯი: გირარდი
უმაყურებლოდ

### მესინა 0:3 ტორინო

0:1 მუცი (26), 0:2 როზინა (77პ), 0:3 სტელონე (85)
მესინა: პაოლეტი, ლავეკია, ზოროკპოლო, ძანკი, პარიზი (პესტრინი 63), ე. ალვარესი, კანდელა, დავერსა (ილიევი 46), მაზიელო, დი ნაპოლი (ფლოჩარი 63), რიგანო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ტორინო: აბიატი, კომოტო, ბრევი, ბოვო, ბალესტრი, გალო, არდიტო (დე აშენტისი 67), ლაზეტიჩი, აბრუსკატო, მუცი (ბარონე 59), როზინა (სტელონე 83)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: ძანკი, ბარონე
მსაჯი: ბერტინი
15 000 მაყურებელი

### კალიარი 0:2 კიევო

0:1 ბრიგი (50), 0:2 ბოგდანი (55)
კალიარი: ფორტინი, ფ. პიზანო, დ. ლოპესი, ბიანკო, დელ გროსო, ბიონდინი (პეპე 56), კონტი, ლ. კოლუჩი (ბუდელი 56), ა. დაგოსტინო (ლანჯელა 70), სუაზო, კაპონე
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
კიევო: სკიცა, ფ. მორო, მანდელი, მანტოვანი, ლანა, ბრიგი, იტალიანო, მარკოლინი, სემიოლი, ბოგდანი (კოცოლინო 73), პელისიერი (კოსოვსკი 86)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: სემიოლი, მარკოლინი
მსაჯი: როკი
15 000 მაყურებელი

### პარმა 1:0 სიენა

1:0 გასბარონი (17)
პარმა: ბუჩი, ფ. კოლი, კონტინი, ფ. კოუტუ, პ. კასტელინი, დესენა (მუსლიმოვიჩი 86), ჩიგარინი (გრელა 73), პარავიჩინი, გასბარონი, ბუდანი (მორფეო 68), ჯ. როსი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
სიენა: მანინგერი, ბერტოტო, პორტანოვა, რინაუდო, მოლინარო, ანტონინი (კოცა 82), კოდრეა, ვერგასოლა, ლოკატელი (კოზა 52), მაკარონე (კორვია 73), ერიომენკო
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: კოლი, კოდრეა, კოდრია, როსი
გაძევება: კოდრია (76)
მსაჯი: ტალიავენტო
12 000 მაყურებელი




„მილანის" მასიმო ამბროზინიმ უშველა

AFP

# აგე, ინტერი!
## რას მიპარჭყავ ხელებსა?!

ასკოლიში ზლატან იბრაჰიმოვიჩის ორმა გოლმა და ფლორენციაში კაცნაკლულ „ფიორენტინასთან" „რომას" 0:0-მა „ინტერი" ცხრილში უკვე 18 ქულით დააწინაურა.

ამაზეა ნათქვამი, ვისაც შნო აქვს, დაეწიოსო... თუ მთლად ასე არ არის?

მასიმო ამბროზინიმ კი „მილანი" ჩემპიონთა ლიგაში გასვლისთვის მებრძოლთა მარაქაში დააბრუნა.

„სტადიო დელ დუჩაზე" ცხრილში ბოლომ პირველს უმასპინძლა. ასეთ დროს, თითქოს ყველაფერი იმთავითვე გადაწყვეტილია ხოლმე, მაგრამ შეხვედრისთვის სიმძაფრე რომ შეენარჩუნებინათ, ამბობდნენ, „ასკოლის" ზედიზედ ხუთი თამაშია, არ წაუგია და თან მარტში „რომასა" და „სიენას" გვარიანი სიურპრიზები შესთავაზაო.

ერთი სიტყვით, სეირის მოყვარულთ უნდოდათ, მატჩი ქაღალდზეც საინტერესოდ დაეხატათ, მაგრამ შედეგს ხომ ხედავთ?!

„შავ-ლურჯებმა" სკუდეტოსკენ უკვე ცეკვა-ცეკვით განაგრძეს სვლა და, როგორც ამბობენ, თავს ახალი მიზანი დაუსახეს — 100 ქულის მოპოვება!

